№ 9

1877—1905

№ 9

პარასკევი, 25 თებერვალი.

პარასკევი, 25 თებერვალი.

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

**პრემიად 12 წიგნს**

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი**: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

## სახაზინო თეატრი.

**ანტრეპრ. საიმპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.**

პარასკევს, 25 თებერვალს, ორი წარმოდგენაა: დილით

**„რუსლანი და ლიუდმილა“,**

ოპერა 5 მოქმ. 6 სურ., მუსიკა გლინკასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ორელი, ნიკიტსკაია, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, სპერანსკი. კაპელმეისტერი მიკლაშევსკი, უფრ. რეჟ. გეცევიჩი. დასაწყისი შუადღის $12^1/_2$ საათზე. საღამოთი—ქ-ნ დონსკაია-ეიხენვალდის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: „M-lle ნიტუში“, კომიკური ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გერვესი. შაბათს ორი წარმოდგენა. დილით დონსკოის მონაწილეობით „ნერონი“, საღამოთი—„ალეკო“, „მანდარინის შვილი“ და „ბოშური სიმღერები“.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**მ. შ ჩიქოვანი**,—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი**—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**მ. სოლოლაშვილი**—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი**—$7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ხ. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

## ტფილისის ექიმები.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

**ვაჩნაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

## ახლად გახსნილი

**ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა**

## „შრომა“

(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)

**იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.**

## ერთის გამჟღავნების გამო.

ჩვენი საზოგადოება, ალბად, ჯერ კიდევ სავსებით არ დამშვიდებულა იმ საშინელ სისხლისღვრის გამო, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა ქალაქ ბაქოში. ყველა, განურჩევლად ეროვნებისა დ სარწმუნოებისა, აღშფოთა იმ ბარბაროსობამ, რომელმაც უცებ იფეთქა ბაქოში და მრავალი თათარი და სომეხი იმსხვერპლა. იმ დღეებში ბაქოს ცხოვრება ნამდვილ ომიანობას ჰგავდა,—ტყვია-ხანჯალი ხალხს მუსრს ავლებდა დ ასობით ოჯახებს უპატრონოდ და ობლად სტოვებდა.

მთელი საზოგადოება შეძრწუნებული იყო და არ იცოდა, რა ხერხისათვის მიემართნა და ეს სამარცხვინო სისხლის ღვრა როგორმე მოესპო. რამდენისამე დღის შემდეგ ხალხის ხოცვა-ჟლეტა შესწყდა, მაგრამ ერთხანს კიდევ არავინ იყო დარწმუნებული, რომ ეს შერიგება დროებითი არ იქმნებოდა და მალე უარესი ამბები არ მოხდებოდა. საბედნიეროდ, ეს შიში აღარ გამართლდა და დღეს ბაქოში სრული მშვიდობიანობაა დამყარებული. მაგრამ მაშინ, როცა აუარებელი სისხლი იღვრებოდა და ორი ერი ერთმანეთში ხელ-ჩართულ ბრძოლას ეწეოდა, ადვილი გასაგები იყო შიში და მდგომარეობის შავად და უნუგეშოდ წარმოდგენა. კავკასიის უმაღლესი მთავრობაც ბოლოს-და-ბოლოს დიდს საზრუნავში ჩავარდა და იწყო ადგილობრივ ისეთი კაცის ძებნა, რომელსაც შეეძლებოდა თავის პირადის გავლენით ხალხის დაშოშმინება და დაწყნარება. ასეთ კაცად მან სცნა თავ. ი. გ. ამილახვარი, რომელიც გაიგზავნა ბაქოში და მალე ბაქოს გენერალ-გუბერნატორადაც იქმნა დანიშნული.

ჩვენ არ შეგვიძლია გამოვუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რამდენად მძიმე და რთული პირობებია ბაქოს ხალხის ცხოვრებაში და რა ზომამდის შესაძლებელი იქნება თავ. ი. გ. ამილახვრისთვის განახლებისა და გაუმჯობესების მოხდენა იქაურს ეროვნულ ურთიერთობაში.

თავ. ამილახვრის ბაქოში გაგზავნა და გუბერნიის მთავარუფროსად დანიშვნა ჩვენ ძალა-უნებურად გვიღვიძებს სულ სხვა ფიქრებს, რომელთა მკითხველისათვის გაზიარება საჭიროდ დავინახეთ.

ყველას უსიამოვნოდ გვეჩხირება თვალში ერთი გარემოება, რომელიც ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის «პოლიტიკაშია» გამეფებული. ეს გარემოებაა სახელმწიფო სამსახურში ქართველ ელემენტის სისტემატიურად შემცირება და, მის ნაცვლად, რუს მოხელეთა გამრავლება. თითქოს ქართველ ყრს რაღაც მიუტევებელი დანაშაულობა ჩედენოსო, მთავრობა ყოველთვის უკეტავდა ქართველს სახელმწიფო დაწესებულებათა კარებს და არ სთვლიდა შესაძლებლად, რომ მას, ვითარცა საზოგადო კანონების მორჩილ მოხელეს, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში. რომ ხელში აიღოთ რამდენისამე წლის «კავკასიის კალენდარი» და დასთვალოთ რიცხვი კავკასიაში გამწესებულ მოხელეებისა, ცხადად დაინახავთ, რომ ქართველ მოხელეთა რიცხვი შედარებით ყოველ წლიწადს მცირდება, ხოლო რუსთა რაოდენობა ასევე ყოველ წლიწადს მრავლდება. ამასთან ქართველს ყოველთვის შედარებით მცირე თანამდებობა ეძლევა, ხოლო დიდი და გავლენიანი ადგილები „ძირითად“ რუსებისათვის არის შემონახული...

ჩვენ, რასაკვირველია, ხალხისთვის ბედნიერებად არ მიგვაჩნია ეხლანდელების მსგავს ბიუროკრატების გამრავლება და „ჩინოვნიკურ“ რეჟიმის გაძლიერება. მაგრამ ეს საზოგადო მართვა-გამგეობის საკითხია და ამიტომ აწინდელ წესის დაწუნება ერ გვავალებს ლოღიკურად ხსენებულ „პოლიტიკის“ უყურადღებოდ დატოვებას და უმნიშვნელოდ გამოცხადებას. რანაირიც უნდა იყოს ფორმა სახელმწიფო წეს-წყობილებისა, მოხელეები—როგორი, ეს სხვა საგანია,—მართვა-გამგეობის საქმეში აუცილებლად საჭირონი არიან და ამიტომ ერის ... ერის ათვალწუნება და მისი შვილების სის...ტიურად გამოდევნა სახელმწიფო დაწესებულებ...იდან—დიდადაც მნიშვნელოვანი და ყურად...ების ღირსია.

რა დაუშავა ქართველმა, რომ მას „სამსახურის“ ასპარეზი დახურული აქვს? განა ქართველებში არ არიან იურისტები, ექიმები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, არ ათავებენ ქართველი ახალგაზდები რუსულ უნივერსიტეტებს, არ იღებენ რუსულ განათლებას? რატომ არ შეუძლია ამ რუსულ წესზე აღზრდილ ხალხს, რომელსაც ისეთივე სწავლა-განათლება მიუღია, როგორც, მაგალითად, მოსკოველსა ან იაროსლაველს, რატომ არ შეუძლია,—ვკითხულობთ ჩვენ,—ალაგი დაიკავოს ადგილობრივ მართვა-გამგეობის ასპარეზზე და მონაწილეობა მიიღოს საგამგებლო საქმეების შესრულებაში? განა ქართველი უკეთ არ იცნობს თავის სამშობლოს, ვიდრე ათასი ვერსის სიშორიდან მოსული კაცი, რომელსაც, იქნება ისიც-კი უძნელდება, რომ საგეოგრაფიო რუკაზე იპოვოს, სად არის საქართველო და „კავკაზ“-ი? ვითომ რატომ არ უნდა შეეძლოს ქართველს მასწავლებლობა, ექიმობა, მოსამართლობა, გამომძიებლობა? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ეროვნებით ქართველია და მისი გვარის დაბოლოვება ან ქართული ლაპარაკი—და ისიც მალულად!—ხელს შეუშლის აქაურ ადგილისა და ხალხის „გარუსებას?“ განა მოხელეებისთვის მისაცემ ჯამაგირებს ადგილობრივ ხალხს არ ახდევინებენ, განა ეს ფული, რომელსაც ყოველ თვის 20 რიცხვს იხსრიალებს ჯიბეში ბ-ნი «ჩინოვნიკი», აქაურ ხალხის ოფლით არაა მოპოებული? და თუ ეს ფული,—ძალითაა თუ ნებით,—უნდა გადვიხადოთ, განა უსამართლობა იქმნება ქართველ კაცსვე ხვდეს და მისი შვილების გაზრდას მოხმარდეს? თ-დ ამილახვარს მისცეს ხსენებული თანამდებობა იმ დროს, როცა მთავრობის აზრით, მხოლოდ მას შეეძლო საუკეთესო სამსახურის გაწევა. აქ აღარ იყო არჩევანი,—ამას, იმავე მთავრობის აზრით, გარემოება თხოულობდა. მაგრამ როგორ არის საქმე, როცა ასეთი „კრიტიკული“ დრო არაა და შესაძლებელია „შერჩევა“? სცნობენ მაშინ ქართველის უფლებასა და ადამიანობას?

სამწუხაროდ,—არა... და აი, სწორედ ამ გარემოებაზე გვინდოდა ჩვენ დღეს მკითხველის ყურადღება მიგვექცია...

# დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

23 თებერვალი.

**ყაზანი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა: უქმე დღეებში ვაჭრობა სწარმოებდეს როგორც რუსთა, ისე თათართა დუქნებშიაც, მხოლოდ ნახევარ საათის განმავლობაში. საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება ამ დადგენილებას.

**ბაქო.** გზათა მინისტრმა ნება დართო, რომ ბაქოდან მიმავალმა რუსმა მუშებმა სახაზინო რკინის გზით უფასოდ იმოგზაურონ. არსდება დამხმარებელი საზოგადოება იმ რუს მუშათათვის, რომელნიც სტოვებენ ბაქოს.

**ვენა.** იმპერატორთან დარბაზობის შემდეგ აპონიმ განაცხადა, საქმის მდგომარეობა არ შეცვლილაო. კრიზისი დიდხანს გასტანს. უთუოდ უნდა დაუთმოს რამე ოპოზიციამ, თორემ უამისოდ კრიზისის გათავებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

**ბელგრადი.** რადიკალებმა გადასწყვიტეს, ხელი შეუშალონ გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების საქმეს.

**ქრისტიანია.** კრონპრინცმა-რეგენტმა მიანდო მიხელსონს ახალ სამინისტროს შედგენა, მაგრამ მიხელსონმა უპასუხა, არ შემიძლია ამ საქმის შესრულება, რადგანაც უქეიფოდ გახლავარო.

**პარიზი.** დელკასემ და რუვიემ ინახულეს სერბიის ფინანსთა მინისტრი პაჩუ.

**მოსკოვი.** ყაზანის რკინის გზაზე მოვიდა 40 ბრიგადა რკინის გზის ბატალიონისა, რომელიც უნდა გაჰგზავნონ რიაზანში სამარგო მატარებლებისათვის.

**დონის როსტოვი.** სტამბებში მუშაობა განახლდა. ხვალ გაზეთები გამოვა.

**პარიზი.** 22 თებ. სხდომა დეპუტატთა პალატაში. ნაციონალისტმა მოტიემ კლემანსოს სელაჰლად აღძრა საკითხი ჯარში დასმენა-დაპუჭლებაზე. რუვიე პასუხს აძლევს, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა მთავრობის დაწესებულებათა დახმარებით უნდა, და ერთიდება სხვის გავლენას. ჟორესი აცხადებს, რომ რესპუბლიკელები ვალდებულნი არიან იცნობონ მთავრობას, ვინ არ არის ერთგული-საიმედო კაცი. დეპუტატ სოციალისტის სემბას წინადადება,—პალატას წარედგინოს სამოქალაქო მოხელეებზე დაწერილი დაბეზღება და დასმენა—მიღებულ იქმნა პალატისაგან.

**ეკატერინბურგი.** 23 თებ. მიმოსვლა ბოგოსლოვის რკინის გზაზე, რომლის აშენება მოკლე ხანში სრულდება, დაიწყება აპრილში.

**პოლტავა.** 22 თებ. მუშაობა ქარხნებსა და სახელოსნოებში გვიანად დაიწყო. წესიერება არ დარღვეულა.

**ოდესა**, 23 თებ. სახალხო განათლების მინისტრმა წინადადება მისცა ადგილობრივ უნივერსიტეტს, დაუყოვნებლივ დაიწყოს მედიკურ ფაკულტეტზე სახელმწიფო კომისსიამ გამოცდის საქმე და პროფესორებმაც ლექციების კითხვა განაგრძონ.

**ვარშავა**, 23 თებ. თანაშემწე პოდგოროდნიკოვი შეუდგა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის ასრულებას სამოქალაქო მართვა-გამგეობაში. სწავლა ფინანსთა სამინისტროს სასწავლებლებში ხელახლად დაიწყება მარტის პირველს.

**კალიში**, 23 თებ. პოლონეთის ჟურნალ-გაზეთობა ჰკიცხავს აგიტაციას და ურჩევს საზოგადოებას სიმშვიდეს და გონიერ სიფთხილეს.

# რუსეთ-იაპონიის ომი

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

23 თებერვალი.

**სინმინტინი**, 22 თებ. მუკდენის სადგურის მახლობლად ბრძოლა ისევ სწარმოებს. 19 თებერვალს იაპონელები მოუახლოვდნენ ამ ადგილს 3 მილზე, მაგრამ რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და ისინი 7 მილზე უკუ-აგდეს. იაპონელებმა სამი დიდი ყალიბის ზარბაზანი დასდგეს პენზიაპუში, მუკდენის ჩრდილოეთ-დასავლეთად, და იქიდან უშენენ ქალ. მუკდენს ყუმბარებს. სოფ. ხუძიატუნი და დავანშანი, რომლებიც მუკდენის გზის სამხრეთად მდებარეობს, იაპონელებმა დაიკავეს. სამი ჩინელი სიკვდილით დასაჯეს ჯაშუშობისთვის.

გუშინ იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს ქვა-ნახშირის პატარა მაღარო. რუსეთის ბანკი მუკდენში გააუქმეს და კვირას გადაიტანეს ტელინში.

21 თებერვალს სინმინტინში პეკინიდან მოვიდა რკინის გზის დირექტორი, რომელმაც პროტესტი განუცხადა იაპონელებს რკინის გზის საქმეში ჩარევის გამო, მაგრამ ამაოდ. ამ ჟამად იაპონელები სინჯავენ ყველა ბარგებს, რომელიც კი სინმინტინში მოდის, იმ აზრით, რომ კონტრაბანდა არაფერი იყოსო. სინმინტინის მახლობლად მდებარე ნეიტრალურ მიწა-წყალზე იაპონელნი იჭერენ და არ უშვებენ არავითარ ბარგს.

**ნიუ ჩუანი.** გუშინ იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ სად. მუკდენს ხუთი მილის მანძილიდან. დღეს რუსები ყოჩაღად უპასუხებდნენ. აქ მოვიდნენ ტელინიდან გამოქცეული ქალები, რომელნიც დარწმუნებით ამბობენ, რომ ყველა მშვიდობიანი მცხოვრები ტელინსა სტოვებსო.

**შანხაი.** იაპონელთა ანგარიშით, რუსთა ლაშქარი შესდგება 412 ბატალიონისა, 30,000 კავალერიისა და 35,000 არტილერისტისაგან და აქვთ 1,500 ზარბაზანი. პეჩილიის ყურეში, შანდუნის ნაპირის მახლობლად, აუარებელი მცურავი ნაღმებია წყალში. ფიქრობენ, რომ ეს ნაღმები ნაწილი უნდა იყოს იმ ნაღმებისა, რომელიც იაპონელებმა დაიჭირეს (?) და წყლიდან ამოიღესო. ჩინეთის მთავრობამ ამ ნაღმთა გასანადგურებლად გაჰგზავნა სამხედრო გემი «ფეინი».

24 თებერვალი.

**ლონდონი**, 23 თებ. ლონდონში მყოფი იაპონიის საელჩოს-მიერ მიღებულ დეპეშის თანახმად, სინძინპუსაკენ მომქმედმა იაპონიის რაზმმა დაიჭირა ხაიჯენი, სინმინპუს სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 მილზე. საზოგადოდ, შახეს მიდამოებში ცვლილება არაა. რკინის გზის აღმოსავლეთის მხარეზე რუსებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს იაპონელთა ზოგიერთ პოზიციებზე, მაგრამ იაპონელებმა ყოველთვის უკუ-აქციეს. რკინის გზის დასავლეთად იაპონელებმა დაიჭირეს ხანჯენპუს ერთი ნაწილი. რუსები ბევრს ეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული ადგილები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მდ. ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე იაპონელებმა აიღეს დიდი ნაწილი ლიკუანპუსი. რუსთა ერთმა დივიზიამ კონტრიერიში მიიტანა იაპონელებზე, მაგრამ ზარალით უკუ-ქცეულ იქმნა.

**ტოკიო.** ოკუ შეუსვენებლივ აწვება რუსთა მარჯვენა ფრთესა და სდევნის. რუსები უკან იწევენ და თან მიაქვთ სურსათ-სანოვაგე და ზარბაზნები. ოკუ თავგადადებულად ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, მიაღწიოს რკინის გზის ლიანდაგამდე, რომ რუსებს უკანდასაწევი გზა მოუჭრას.

**პეტერბურგი**, 22 თებ. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა თებერვლის 21-ს. „დღეს მტრის ჯარმა ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე შეუდგრად მოიტანა იერიშები ჩვენს რაზმებზე სოფელ იანსიტუნის ჩრდილოეთით და სამხრეთით, მაგრამ ყველა იერიში უკუქცეულ იქმნა. არტილერიის და თოფის სროლა მეტად გაწვავებული იყო. ერთმა ჩვენმა რაზმმა, სინმინტინის გზის გასწვრივ მიმავალმა, გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ აიღო სოფელი ცინეანჩე, ტაშიჩაოდან 4 ვერსზე, მაგრამ მერმე შეჩერებული იქმნა მტრის მიერ, რომელიც შემაგრებული ყოფილა ლუცზახუანში, ტაშიჩაოს აღმოსავლეთით 2 ვერსის სიშორეზე, სადაც მაშველი ჯარიც მისულა მათთან სამხრეთ-დასავლეთიდამ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ამავ დღეს ჩვენს ცენტრზე მტერს იერიში არ მოუტანია. პუტილოვის გორაკის მიდამოებში გუშინ ჩვენ ჩავიგდეთ ხელში არა ორი, არამედ სამი ტყვიის მფრქვეველი. ჩვენს მრავლად განმეორებულ იერიშების დროს ხელთ ვიგდეთ ტყვედ 50-ზე მეტი იაპონელი. დღესვე კანდოლისანის მიდამოებშიც სცადა მტერმა იერიშის მოტანა, ხოლო უკუ-ქცეულ იქმნა. გაუტულუნის უღელ-ტეხილზე ჩვენს პოზიციებში დღევანდელ დღეს მშვიდობიანობა იყო. სოფ. უბენეპუზასთან იაპონელთა ჯარი ორჯერ შეეტაკა ჩვენს რაზმს, მაგრამ საღამოს 6 საათზე ორჯერვე უკუ-გდებულ იქმნა“.

თებერვლის 22. „ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე დღეს დილით 5 საათზე მტერი რამდენჯერმე შეეტაკა ჩვენს რაზმებს სოფელ იანსიტუნის და უნხუანტუნის გასწვრივ, მაგრამ დილის 10 საათამდის უკუ-ქცეულ იქმნა. ცენტრშიც პუტილოვის და ნოვგოროდის გორაკებთან უკუ-ვაქციეთ მტრის გაშმაგებული იერიშები დილის 5 საათამდინ. კონდოლისანის მიდამოებში გამაგრებულ პოზიციებზე მტერს საღამოს 8 საათიდამ მოყოლებული მთელ ღამეს იერიში მოჰქონდა; ყველა უკუ-ვაქციეთ. ზოგან იაპონელები ჩვენს მოსატყუებლად ზურგს გვიბრუნებდნენ, თავიანთ ჯარს ყასიდათ ესროდნენ თოფებს და ჩვენს მავთულ-ღობეებს უახლოვდებოდნენ. გაუტულინის პოზიციებზე ღამე მშვიდობიანი იყო. ამათ მარცხენა ფრთეს პირდაპირ მტერი ახლოსაა. სოფ. უბენეპუზასთან დაყენებულ ჯარზე იაპონელებმა იერიშის მიტანა დაიწყეს საღამოს 8 საათიდამ. შუაღამისას ჩვენმა რაზმმა უკუ-აგდო შემოსეული მტერი და ხელთ იგდო მისი ორი ტყვიის მფრქვეველი.. დილის 6 საათზე ხელ-ახლად იწყეს იერიშის მოტანა. ჩვენმა ჯარმა მოიგერა იერიშები, თვითონ შეუტია მტერს და წაართვა მესამე ტყვიის მფრქვეველი. მარცხენა ფრთეზე მოგერებულ იერიშების შემდეგ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე სოფ. უხუანტუნთან ჩვენს ჯარზე მტერმა მედგარი იერიში მოიტანა; ერთი წილი ამ სოფლისა დაიჭირეს კიდეც იაპონელებმა; მხოლოდ მაშველ ჯარის მოსვლაზე უკუ-გდებულ იქმნენ. საღამომდის იაპონელთა ერთი ჯგუფი, ქოხებში გამაგრებული, მაინც იგერებდა ჩვენს იერიშებს. ცენტრში მტერმა ისევ დაიწყო სატევი მოქმედება, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნა. მარცხენა ფრთეზე საღამოს 10 საათზე მტერმა შეუტია ჩვენს ჯარს სოფ. უბენეპუზასთან, მაგრამ ჩვენებმა დაუშინეს ტყვიები და უკუ-აქციეს მტერი“.

**მუკდენი**, 23 თებ. 22-ს იაპონელთა დიდ ძალი რაზმი შეეტაკა ჩვენს ჯარს სანჩენპუში, რკინის-გზის ლიანდაგთან. რამდენიმე შეტაკების შემდეგ იერიში შეყენებულ იქმნა. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. რენენკამფის ჯარმა ისევ მოიგერა იაპონელთა იერიში, ამ საათში არტილერია შეჩერებულია, როგორც სჩანს დასავლეთით და შახეზედაც ბრძოლა შედგა.

**ტოკიო**, 23 თებ. დღეს მანჩუტანი იაპონელებმა დაიკავეს. ინგლისელების გემები «ვენუსი» და „აფროდიტა“ ქვა-ნახშირით ვლადივოსტოკისათვის დატვირთული დაჭერილ იქმნა იაპონელების მიერ.

**პარიზი**, 23 თებ. ფრანგი კორესპონდენტი ნოდო მუკდენიდან იუწყება ტელეგრამით, რომ ბრძოლამ გასტანა მთელს ღამეს. ზარალი რუსების და იაპონელების გაცილებით მეტია ლიაოიანისაზე. ტერპიცკის რაზმში, რომელმაც მრავალი იერიში უკუ-აქცია, რუსები მოკლულ იაპონელების ხროვას ეფარებოდნენ სროლაშიო. ნოდო აღწერს მე-4 ციმბირის პოლკის მედგარ იერიშს, რომელიც მიუტანია მუკდენის სამხრეთით, იაპონელების შესაჩერებლად. ორთავე მხრის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

**გენერალ კუროკის არმია**, 23 თებ. (რეიტერი) გასულ ღამეს რუსები შეეცადნენ გაერღვიათ იაპონელთა ჯარის პოზიციები და გზა გაეხსნათ მდინარისაკენ ვაიტოშანის დასავლეთით, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. დღეს სიწყნარეა; დილით კი იყო ზარბაზნების სროლა. დღისით აღმართა წითელ-ჯვრის ბაირაღები დაჭრილთა ასაკრეფად.

**ალჟირი**, 23 თებ. რუსის გემი „კურონია“, დატვირთული ნახშირით, წყლის ასაღებად ნავთსადგურში შევიდა, საღამოს ვლადივოსტოკისაკენ მიდის.

**მანილა**, 23 თებ. დაიჭირეს ერთი იაპონელი მეთევზე, რომელზედაც ჰქონდათ ეჭვი, რომ აპირებდა გემ „კორლელის“ აფეთქებას, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს, ვინაიდან საკმარისი საბუთი ვერ აღმოაჩინეს.

ღამის დეპეშა იხ. მეოთხე გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ომის ამბები.** საშინელ ბრძოლას ბოლო არ უჩანს. აგერ თითქმის ორი კვირაა, რაც მუკდენის სამხრეთით, აღმოსავლეთითა და დასავლეთით მედგარი ბრძოლაა. საქმის მდგომარეობა და ორისავე ჯარის ფრონტი ძალიან შეიცვალა. გენერალ კუროკის ჯარმა თითქმის 80 ვერსით წაიწია წინ, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა, რაც კუძიაძისა (უკიდურესი მარჯვენა ფრთე) და გოუტულინის ქედების წინ გაჩერდა. კუროკის ჯარი რუსების მთელ ფრონტს გვერდიდან მოექცა, მაგრამ გარსშემოვლა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა. მისი მარცხენა ფრთე გენ. ლინევიჩისა და ბილდერლინგის ჯარებს შუა სოლივით შეეჭრა და კონდოლისანის აღებას ცდილობს. თავის მხრით რუსებიც მოდიან ხოლმე იაპონელებზე იერიშით, მაგრამ ისევ უკან-უკან იწევენ და თავიანთ პოზიციების დაცვას სჯერდებიან. ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან: თუმცა რუსები მედგრად იცავენ თავსა, მაგრამ იაპონელები მაინც წინ მიიწევენო. კუროპატკინი კი იუწყება, იაპონელების იერიშებს ყველგან ვიგერიებთ და აქა და იქ ჩვენც მივიტანეთ იერიშებიო. იმას კი აღარ იტყობინება, ამ იერიშებით რუსებმა გააწყეს რამე თუ არა. იაპონელების მოხსენებიდან კი სჩანს, რომ კუროპატკინის ყველა იერიში მოვიგერეთ და რუსებს უკან დავაწევინეთო.

21 თებერვალს ღამე იაპონელებმა ხუნხეს მახლობლად რუსების პოზიცია აიღეს.

იმავე დღეს საღამოს ჟამს პანძინუტი აიღეს. იმავე დღეს სინტინტინიდან რუსებს უკან დაახევინეს.

წინა დღეს რუსებმა იერიში მიიტანეს გოუტულინის ქედიდან იაპონელებზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. რუსებმა რეინის გზასთან სცადეს იერიშის მიტანა, მაგრამ ამაოდ.

ამავე დღეს დაიწყო გაცხარებული ბრძოლა რკინის გზის სადგურ ხანჩენპუსთან. რუსის კორესპონდენტი იუწყება: ხუნჩენპუსთან დიდი ჯარი იბრძვის და საშინელი სისხლის ღვრააო.

ტოკიოდან იუწყებიან, იაპონელებმა ხანჩენპუ თითქმის მთლად აიღესო. რუსები ძალიან ცდილობენ დაკარგულ პოზიციების დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერს ხდებიანო. რუსებს ხანჩენპუს დაბრუნებაც მოუნდომნიათ და იერიშით მისულან, მაგრამ აქაც ვერას გამხდარან. ხანჩენპუს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან აქედან იაპონელები პუტილოვისა და ნოვგოროდის გორებს (რუსების ცენტრსა და იმედს) გვერდიდან (დასავლეთიდან) მოექცევიან, ან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ წავლენ და პუტილოვის გორის დამცველებს გზას გადაუჭრიან.

მუკდენის დასავლეთით, მუკდენ-სინმინტინის გზაზე რუსები თავგამოდებით იბრძვიან. ამ ალაგას რუსებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი, თვითონვე მიაქვთ იერიში იაპონელებზე და თუმცა ვერას ხდებიან, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ ოკუს ჯარი მუკდენთან არ მიუშვან და გზა არ გადააჭრევინონ.

20 და 21 თებერვალს რუსების ერთმა დივიზიამ 76 ზარბაზნით იერიში მიიტანა იაპონელებზე ტაშიჩაოს მხარეს (ტაშიჩაო მუკდენსა და სინმინტინის გზაზეა, 20 ვერსის მანძილზე მუკდენიდან), მაგრამ უკუქცეულ იქმნა.

იაპონელებს განუწყვეტლივ მიაქვთ იერიში მაჩუნტანზე (მაძიუტანი იქნება). 23 თებერვალს იაპონელებმა ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მაჩუნტანი აიღეს. ამ პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან ერთი გზა გადის კუძიაძი ინპანის გზაზე, მეორე—გოუტულინ-ფუშუნის გზაზე. თუ აქედან იაპონელები კუნძიაძისკენ (აღმოსავლეთისკენ) წავლენ, კუძიაძიზე ორ მხრიდან მიიტანენ იერიშს: სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან (ეხლა მარტო სამხრეთიდან მიაქვთ იერიში) და, თუ დასავლეთისკენ წავიდნენ, გოუტულინის უკანიდან მოექცევიან და ფუშუნის გზაზე გავლენ. ორივე პოზიციას (გოუტულინსა და კუძიაძის) ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნიუ-ჩუანიდან, სინმინტინიდან და შანჰაიდან რუსეთისათვის ცუდი და საშიში დეპეშები მოვიდა. თუ ამ დეპეშებს დავუჯერეთ, რუსეთის ჯარი უკვე დაიძრა და ჩრდილოეთისაკენ მოდის.

„დეილ ტელეგრაფს" სინმინტინიდან ატყობინებენ: მუკდენის სადგურთან გაცხარებული ბრძოლააო. იაპონელებმა მუკდენის მახლობლად სამი დიდი ზარბაზანი დადგეს და მუკდენს დაუშინესო.

რუსეთის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელები მუკდენს სამ მილზე მოახლოვდნენ, მაგრამ რუსებმა უკან დაახევინესო.

„დეილი ტელეგრაფს" სინმინტინიდან დეპეშით ატყობინებენ: 22 თებერვალს იაპონელებმა მუკდენის მახლობლად ორი სოფელი აიღეს—ხუძიატუნი და დავანშანი.

მუკდენიდან რუსეთის ბანკი ტელინში გადაუტანიათ.

ტელინიდან გამოქცეული ჩინელები ამბობენ, ტელინში ერთი აურზაური და ალიაქოთი ატყდა და ვისაც-კი შეუძლიან, მირბისო.

ტოკიოდან იუწყებიან: რუსები უკან იხევენ და სურსათი და ზარბაზნები მიაქვთო. მარშალი ოკუ, რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს მუკდენს მოუაროს და გზა მოუჭრას.

იაპონელების ანგარიშით კუროპატკინს 480—500,000 კაცი ჰყავს და 1500 ზარბაზანი აქვს.

„რუს. ვედ"-ის სამხედრო მიმომხილველის ანგარიშით, გენ. კუროკის 160,000 კაცი უნდა ჰყავდეს. გენ. ნოგის—65,000; მარშალ ნოძუს—85,000; ოკუს—100,000. სულ მარშალს ოიამის დაახლოვებით ეყოლება 400,000 კაცი.

წინადაც სწერდნენ, კუროპატკინს ოიამაზე 100—120,000 კაცით მეტი ჰყავსო (რ. ვ.).

**ძნელი გამოცანა.** რუსებს აქამდის ვერ გაუგიათ, სად და რომელ სარდლის ჯარი სდგას იაპონიისა. მუკდენიდან ზოგი კორესპონდენტი იუწყება, სინმინტინიდან მუკდენისკენ გენ. ნოგის ჯარი მოდისო, ზოგი კი ამტკიცებს, მუკდენისკენ (სინმინტინიდან) ნოგის ჯარი კი არა, ოკუს ჯარი მოდისო მესამენი ყვირიან, ტყუილია, მუკდენისკენ არც ოკუს ჯარი მოდის არც ნოგისა ეგ ჯარი სულ ახალია, გენ. კავამურას უფროსობითაა და მანჯურიაში ეხლახან გაჩნდაო. «რუსკოე სლოვოს» კორესპონდენტი იუწყება, გენ. ნოგის ჯარი გენ. კუროკის მარჯვენა (უკიდურეს) ფრთეზე სდგასო «ნოვოე ვრემია»-ს კორესპონდენტი ირწმუნება, გენ, ნოგის ჯარი დასავლეთიდან (სინმინტინიდან) მოდისო.

„რუს. ვედ."-ის სამხედრო მიმომხილველი ხომ სულ სხვას ამტკიცებს: გენ. ნოგის ჯარი არც აღმოსავლეთიდან მოდის და არც დასავლეთიდან. ნოგის ჯარი ცენტრში სდგას და პუტილოვისა და ნოვოგოროდის გორების აღებას ცდილობსო. აქამდის ამბობდნენ, ცენტრში ნოძუაო. თუ ეხლა ნოძუს ადგილი ნოგის დაუჭერია, მაშ ნოძუ სადღა წავიდა? ამბობენ, ნოძუ აღმოსავლეთისკენ წავიდა და ნოგისა და კუროკის შუა ჩადგაო.

ოკუზედაც დავა უნდა იტყდეს. აქამდის ამბობდნენ, ოკუ მარცხენა ფრთეზეა და მდინარე ხუნხესა და რკინის გზის შუა მოქმედობსო. ეხლა ამბობენ, ოკუს ჯარის უმეტესი ნაწილი სინმინტინში ავიდა და იქიდან მუკდენისკენ მოდისო. „რუს. ვედ"-ის სახედრო მიმომხილველი კი ამტკიცებს, ოკუ რკინის გზას მოსდევს, სინმინტინიდან კი გენერალი კამიმურა მოქმედობსო. კორესპონდენტებმა კარგად იციან, რომ აღმოსავლეთიდან კუროკი მოდის, ხოლო ვინ მოქმედებს სინმინტინთან და ცენტრში,—ეს ჯერ-ჯერობით ვერ გამოუცვნიათ. ნოგი აქამდის ვერ აღმოუჩენიათ (რ.).

**რის იმედი აქვთ რუსებს.** „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი მუკდენიდან დეპეშით იუწყება: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თანდათან ინიციატივა ჩვენ ხელში გადმოვა და საბოლოოდ გამარჯვებაც ჩვენი იქნება.

იმედი, რასაკვირველია, კარგი რამეა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მთელი წელიწადია, რაც ეს ინიციატივა რუსების ხელში აპირობს გადმოსვლას და აქამდის რით ვერ გადმოვიდა. როცა კაცს სინამდვილე არ წყალობს, მაშინვე იმედს ჩაებღაუჭება ხოლმე.

იმავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: მტერი არ გვასვენებს, ძილი ჩვენ არ ვიცით, 17 გრადუსი სიცივე გვტანჯავს, გვშიან, ღამე ცისქვეშა და თოვლზე გვძინავს. ამ უბედურებამ და ტანჯვა-წვალებამ ყოველივე გრძნობა დაგვიხშო, მოგვიკლა. უფროსები გვიბრძანებენ, სულ ამოიღლიტენით და ადგილიდან კი არ დაიძრათო ჩვენც ბრძანებას ავასრულებთ და დავიხოცებით. თქვენ მანდედან გვისაყვედურებთ და დაგვცინით კიდევაც, რომ აქამდის ერთხელაც არ გავიმარჯვეთ, დავიხოცებით მაინც.

ერთი კორესპონდენტი იუწყება, იმედია გავიმარჯვებთო. მეორე კორესპონდენტი კი გულდაწყვეტილია და სასოწარკვეთილებით ამბობს, შეიძლება ვერ გავიმარჯვოთ, მაგრამ სამაგიეროდ დავიხოცებითო. კორესპონდენტის კილოდან სჩანს, რომ რუსეთის ჯარს გამარჯვების იმედი აღარა აქვს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ სიკვდილი გამარჯვებას არ ნიშნავს. ჯარს გამარჯვების იმედი აღარ აქვს, ვის რად უნდა იმათი სიკვდილი? აილონ თავიანთი ბარგი-ბარხანა, წამოიკიდონ ზურგზე და თავიანთ კერასა და ოჯახს დაუბრუნდნენ. უაზრო და ცალიერი სიკვდილი სახელმწიფოს ტყუილა-უბრალოდ ათასსა და ათი-ათას ახალგაზრდა მუშას წაართმევს (რ.).

გედკე [illegible] სახებ. პოლკოვნიკი გედკე კუროპატკინის შესახებ, სხვათა შორის, სწერს: საკვირველია ღმერთმანი! კუროპატკინს საცა კი იაპონელებმა მოასწრეს—დაამარცხეს. კუროპატკინი კი ხან ერთ გენერალს წაავლებდა ხელსა და ხან მეორეს და დამარცხების ბრალსაც ამ გენერალს ახევდა თავზე. კუროპატკინი არც ერთხელ არ გამომტყდარა და არ უთქვამს, აი, ესა და ეს დამარცხება ჩემი ბრალი იყოო. სინიდისიც კარგი საქონელია! დროა საზოგადოებამ ჰკითხოს კუროპატკინს, სად და როდის აპირობს გამარჯვებას? ვთქვათ, იალუზე ზასულიჩი დამარცხდა, ვაფანგოუსთან—შტაკელბერგი, დაშიჩიოსთან—ზარუბაევი, მაგრამ ლიაოიანთან ვიღა დამარცხდა? იანტაისთან ვიღა დამარცხდა? ეხლა ვიღა მარცხდება? მაგრამ მე ეხლაც დარწმუნებული ვარ, რომ მუკდენის დამარცხებასაც ან ლინევიჩს მოახევენ თავზე, ან ბილდერლინგს, ან კაულბარსს. („რ.").

**კუროპატკინისა და გრიპენბერგის მორიგება.** „კენიგ. გაზ."-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: პეტერბურგში გენერალი დრაგომიროვი დაიბარეს და გენ. კუროპატკინისა და გრიპენბერგის მორიგება მიანდვესო.

გენ. დრაგომიროვი კიევიდან პეტერბურგში მივიდა. ზოგი ამბობს, დრაგომიროვი შორეულ აღმოსავლეთში დიდ თანამდებობას მიიღებსო, ზოგი კი ამბობს, დრაგომიროვი პეტერბურგში იმიტომ ამოვიდა, რომ მონაწილეობა მიიღოს დიდ სამხედრო საბჭოში, რომელიც 20 ამ თვეს უნდა მომხდარიყო. („რ. ვ.")

# ახალი ამბავი

✦ ქუთაისის ყველა პოლიციების ნაწილებს გუშინ მიუვიდათ გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის დირექტორებისაგან შეგირდების სიები; დირექტორები ავალებენ ბოქაულებს ამ სიებში აღნუსხულს **შეგირდებს ჩამოართვან ხელწერილები, რომ სამ დღეში ყველა თავ-თავის სოფელში წავა.** შეგირდებს უკვე იბარებენ პოლიციის ნაწილებში და აწერინებენ ხელს ამ ვალდებულებაზე. ვალდებულებაში სწერია,—ვინც ნებით არ წავა სოფლებში, „ეტაპით" უნდა გაიგზავნოსო. სხვა სასწავლებლების შეგირდებიც მიდიან სოფლებში, რადგან სწავლა, კერძო სასწავლებლების გარდა, ყველგან შეჩერებულია.

✦ ეს ორი დღეა **ქუთათურმა დურგლებმაც აუშვეს მუშაობას ხელი** და მოლაპარაკება აქვთ ხელფასის მომატების შესახებ. მათი ბირჟა ვარანცოვის ქუჩაა, ჯაჭვის ხიდთან. გუშინ დილას მთელი ამ ხელობის ხალხი ხსენებულ დურგლების ბირჟაზე იყო თავმოყრილი მოსალაპარაკებლად.

✦ „ც. ფ."-ს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდან, რომ 23 თებერვალს **გაიფიცნენ ფოტოგრაფიების მოსამსახურენიო.** მათ წარუდგინეს ფოტოგრაფიის პატრონებს მოთხოვნილებანი თავიანთ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

✦ გაზ. „კავკ"-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა: „სამშაბათს, 22 თებერვალს, დილით, ქ. ერევანში აქა-იქა ქუჩებში მაჰმადიანთა ბრბო იკრიბებოდა. ისროლეს რამდენჯერმე რევოლვერი და **დასჭრეს ორი გზად მიმავალი რუსი:** სათადარიგო ჯარის კაცი და დათხოვნილი პოლიციის დარაჯი. რადგანაც სროლა არ შეწყდა, ერთმა ჯარის კაცმა თოფი ესროლა და მოჰკლა ერთი მაჰმადიანი. ბაზრის მიყრუებულ ქუჩის შესახვევში იპოვეს ვიღაც მოკლულ სპარსელის გვამი.

იმავე დღეს სომეხ-მაჰმადიანთა სამღვდელოებამ მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით, ეკლესიასა და მეჩეთში ერთად გარდაიხადეს პანაშვიდები; პანაშვიდის შემდეგ სამღვდელოების საპატიო წარმომადგენელთ ქადაგებით მიმართეს მცხოვრებთ; შემდეგ ამისა სამღვდელოების წარმომადგენელებმა, მთავრობის მოხელებმა და საპატიო მოქალაქეებმა [illegible] მთელი ქალაქი და მცხოვრებნი დაამშვიდეს. ვაჭრობას იწყებენ".

✦ გორის მაზრის მეშვიდე ნაწილის საბლაღოჩინოს რამდენსამე მღვდელს კერძო მოლაპარაკების შემდეგ გადაუწყვეტიათ სთხოვონ თავიანთ „ბლაღოჩინს", რომ **დანიშნოს საზოგადო კრება ამ საბლაღოჩინოს ყველა მღვდლებისა.** აზრად აქვთ სხვა თანამედროვე საგნებთან ერთად განიხილონ დამოკიდებულება მღვდლებსა და მრევლს შორის და შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დრამის მაგიერად ხაზინიდან ეძლეოდეთ გადაწყვეტილი ჯამაგირები.

✦ გუშინ ტფილისის ოლქის **სასამართლოში** ირჩეოდა **საქმე არამიანცისა,** რომელსაც ბრალდებოდა განჯუმოვის მოკვლის განზრახვა. სასამართლოს თავჯდომარეობდა ლემერმანი, ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ვერხოვსკი. არამიანცს იცავდა პეტერბურგის ვექილი მირონოვი. მოწმების ჩვენების ჩამორთმევას სასამართლო მოუნდა შუადღის 4 საათამდის, რის შემდეგაც სასამართლომ გარდაწყვიტა იმ ადგილის დათვალიერება, სადაც მოხდა ეს საქმე. საქმის გარჩევა გადასდო საღამოს 7 საათისთვის. დაწვრილებით ანგარიშს მკითხველებს ხვალ ვაცნობებთ.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** პრინციპიალურად სასურველად სცნო ავლაბარში ქართული წარმოდგენების გამართვა. ამჟამად გამგეობას თეატრის დათმობის შესახებ მოლაპარაკება აქვს სომხურ დრამატიულ საზოგადოებასთან, რომელსაც მომავალ წლისთვის იჯარით აუღია არაქსიანის თეატრი.

✦ როგორც გავიგეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას გადაუწყვეტია იუბილეი გაუმართონ ჩვენს ნიჭიერს **მსახიობ ქალს ნატ. მერ. გაბუნია-ცაგარლისას,** რომელიც ოცდა ხუთი წელიწადია ქართულ სცენას **ემსახურება.** იუბილეის გამართვა აზრად აქვთ მომავალ გაზაფხულს. მოკლე ხანში ამორჩეულ იქმნება კომისია, რომელსაც დაევალება იუბილეის მოწყობა.

✦ **ხაშურიდან ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას** სთხოვენ, რომ ნება მისცენ, როგორც სხვა დაბა-ქალაქის მცხოვრებთ, საზოგადოების სახელით ხაშურში ქართული წარმოდგენები მართონ. გამგეობამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

✦ **ქალაქის მოურავმა** მიმართა ტფილისის თვითმმართველობის ვექილს და სთხოვა, გამოიკვლიეთ, რა მდგომარეობაშია საქმე იმ ადგილების შესახებ, რომელიც დაეთმო მეოთხმოცე წლებში გზათა სამინისტროს რკინის გზის გასაყვანად და სახელოსნოების ასაშენებლად დიდუბეში; როგორც ზოგიერთ საბუთიდან და ქალაქის საერთო პლანიდანაც სჩანს, **რკინის გზის ქარხნების გარშემო ადგილები ქალაქს ეკუთვნის** და საიდან ჩაუვარდა ეს ადგილები გზათა სამინისტროს ხელში, ან რა საბუთების ძალით, არავინ იცის. არ იციან აგრეთვე, ეს ადგილები წინად მართლაც ქალაქს თუ ეკუთვნოდა და რკინის გზას დაუთმო, გზათა სამინისტრომ შეისყიდა, ან რა იქმნა შემდეგ ეს ფული.

✦ გუშინ გუბერნიის სატეხნიკო კომისიამ ქალაქის ინჟინერების თანადასწრებით დაათვალიერა **მთაწმინდის ფუნიკულერი;** კომისიამ ეს ასაყვანი გზა და მისი მოწყობილება მოიწონა და ნება დართო მუშაობისა. როგორც კომისსია მოწმობს,

# ფელეტონი

### ჰკაფვენ ტყეს.

(რუსულიდან)

ჰკაფვენ ტყეს ნორჩს და მწვანედ გაფურჩქვნილს,
ფიჭვნი მხცოვანნი სდგანან დაღვრემით
და შესცქერიან შორს, შორს ცის სივრცეს,
ალვსილნი რაღაც ურკვეველ ფიქრით.

—

ჰკაფვენ ტყეს... ნუ თუ მხოლოდ იმისთვის,
რომ ადრე იწყო იმან შრიალი
და გაალვიძა იმ საამო ხმით
მიძინებული ბუნების ძალი?

—

ნუ თუ იმიტომ, რომ ნორჩ ფოთლებით
ძლიერ გაბედვით დაიწყო ჟღერა
და შემოსძახა საბედნიეროთ
თავისუფლების ტკბილი სიმღერა?

—

ჰკაფვენ ტყეს... მაგრამ თესლს დედამიწა
გულში ჩაიკრავს დედაშვილურად.
განვლიან წელნი, თავს იჩენს თესლი,
ფესვებს გაიდგამს რა მედიდურად,

—

მწვანე კედლებად მაღლა ასული
საძმო საფლავზე გაიხმაურებს
და მხოლოდ მაშინ ჭეშმარიტებაც
უკვდავების ცვარს მაღლით ასხურებს.

ანნა დადიშკელიანისა

### სახელმწიფო და ეროვნება.

—

მთელ დედამიწის ზურგზე ჯერ არ ყოფილა არც ერთი ისეთი სახელმწიფო, რომ მისი წესწყობილება არ ყოფილიყო დამყარებული ერზე, ან ერის ძალაზე. ხიშტებსა და მათრახებზე სახელმწიფოს აშენება არ შეიძლება, და ყველა თვითმპყრობელი მთავრობაც თავის უფლებას ამყარებდა ყოველთვის ხალხზე და მიზნადაც ისახავდა ხალხის კეთილდღეობას.

თვითმპყრობელი მეფეებიც პირველად არჩეული ყოფილან ხალხისგან, ზოგიერთ ქვეყნებში მათ მიუღიათ სამეფო უფლება ხალხთან მორიგებით, ან ხელშეკრულობის ძალითაც.

ხალხის მოსამსახურედ აცხადებდნენ თავიანთ თავს ევროპის მეფეები,—ლუდოვიკო XIV, ფრიდრიხი დიდი, იოსები II და სხ. და სხ.

მეფის განუსაზღვრელ უფლების გასამართლებლად ამბობდნენ, რომ იგი საჭიროა ხალხის საკეთილდღეოდ; ამბობდნენ, რომ ხალხი ჯერ არ არის საკმარისად „განათლებული", რომ ხალხი ჯერ კიდევ „სუსტია", „უგნური" და რომ თვითმპყრობელმა მეფემ უნდა გამოზარდოს ხალხი თანდათან პოლიტიკურად, უნდა დააყენოს იგი განვითარების, გამოფხიზლების სწორ გზაზე...

და ხალხიც გამოფხიზლდა, მომწიფდა!

ევროპის და ამერიკის დემოკრატიებში იხატება საუკეთესოდ ხალხის ძალა და უფლება. ახალ სახელმწიფოს ხალხი ჰქმნის თვითონ, თავისივე სახელით. „ჩვენ, შეერთებულ შტატების ხალხს შემოგვაქვს და დაგვიმტკიცებია",—დასწერა ამაყად ამერიკის ხალხმა, როდესაც დააპირა შინაურ საქმეების უკეთესად მოწესრიგება,—«შემოგვაქვს ახალი ფედერატიული კონსტიტუცია, რომ ამითი უზრუნველ ვყოთ ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის თავისუფლება, კეთილდღეობა და ძალა».

«ჩვენ, ხალხმაო»,—ამ სიტყვებზე არის აშენებული ყველა დემოკრატიული კონსტიტუცია.

საფრანგეთს, ამერიკას, შვეიცარიას და სხვაგანაც,—ყველგან „ხალხი" საყოველთაო კენჭის ყრის საშუალებით არჩევს იმას, თუ რა არის მისთვის ამ ჟამად უფრო სასურველი ან სასარგებლო; ცდილობს მოაწყოს საუკეთესოდ სასამართლო, დაიმკვიდროს თავისუფლება სახელმწიფოში.

იქ, სადაც არსებობს საკონსტიტუციო სახელმწიფო უფლება ხალხი პირობით ეკვრის მეფის გვარეულობას. მეფე ისევე ხალხის მოსამსახურედ რჩება, მის უმაღლეს წარმომადგენლად, მის გადაწყვეტილების აღმასრულებლად,—მაგრამ გვერდში ამოუდგა ხალხი ისეთისავე უფლების მქონე, ისეთივე ძლიერი, როგორც მეფე და ხშირად მასზე ბევრადაც უფრო ძლიერი.

მეფეს ეხლა ისევე შეეძლო თავის ნებაზე აერჩია და დაეყენებინა სხვადასხვა თანამდებობაზე მოხელე პირები, მაგრამ ხალხმაც შეიძინა ახალი უფლება,—საკონსტიტუციო ქვეყნებში მას შეუძლიან აირჩიოს თავისი წარმომადგენლები იმისთვის, რომ მათ მეფესთან ერთად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვისა და გამგეობაში.

ხალხსა და მეფის საერთო შრომას უნდა გაეწია გახრწნილ და დამყაყებულ ბიუროკრატიის მაგიერობა.

ხალხის სურვილზე შეიქმნა დამოკიდებული ახალ კანონების გამოცემა, სახელმწიფო ცხოვრების მიმართულება,

მეფეს დაუტოვეს ამ საქმეში ერთი მცირედი უფლება,—შეეძლო დროებით შეეჩერებინა იმ კანონების გამოცხადება, რომელიც ხალხისთვის საზარალო ეგონა, მაგრამ მაინც ხალხის სურვილი იყო აქაც საქმის გადამწყვეტი, თუ რამდენად მართალია მეფის შეხედულება.

ხალხის წარმომადგენლობას, საერო კრებას ცხოვრების ახალი ხანა მოჰყვება, ისეთი ხანა, სადაც ბატონია საზოგადოება და სადაც კერძო პირის ნებას და ბრძანებას ეკარგება მისი უწინდელი მნიშვნელობა და ძალა.

პარლამენტი ხალხისთვის ნამდვილი სასწავლებელია, პარლამენტი ძლიერად აკავშირებს ერთმანეთს ხალხის სხვადასხვა ნაწილს და ჰქმნის ხალხის საერთო ძალას, გამოხატავს ხალხის საერთო სურვილებს.

ხალხის წარმომადგენლობას, ხალხისგან ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებას ჰყავს მრავლად მოწინააღმდეგე.

ამბობენ, ხალხი ყველაფრით გაერთიანებული არ არის, ხალხში ტრიალებს სხვადასხვა მიმართულება, ხალხის სხვადასხვა ნაწილი განსხვავებულ მიზნებს ემსახურება და, ამიტომ თუ მიენდო ხალხს ბატონობა,—ერთმანეთს დასჭამენ, ერთმანეთს დაესევიან და შეიქმნება დაუსრულებელი შინაური ბრძოლა და განხეთქილება...

მხოლოდ ძალით, ერთ ადამიანისაგან ხალხის დამორჩილებით შეიძლება საზოგადოებაში მშვიდობიანობის ჩამოგდებაო.

ეხლა მაინც, როდესაც კლასთა შორის განხეთქილება ძლიერი შეიქმნა და როდესაც პროლეტარიატს ეჯავრება კაპიტალისტი, როგორ უნდა მოახერხონ ამათ საერთო შრომა კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში? განა შინაური ომი არ ასტყდება მათ შორის და ამ ომს ხომ შეიძლება სისხლის ღვრა მოჰყვესო.

ან კიდევ იქ, სადაც არსებობს სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა, განა შესაძლო არის ხალხის თავისუფლება, ამბობენ ისინი, ვისაც ბიუროკრატიის ძილი ურჩევნიათ ღვიძილსა. სარწმუნოების განხეთქილება ხომ ისეთი საშინელი რამ არის, რომ შეიძლება კათოლიკემ სასიკვდილოდაც გაიმეტოს მართლ-მადიდებელი, მართლ-მადიდებელმა [illegible]

ფოში! გავიხსენოთ ჯვაროსანთა ომები, თათრების შემოსევა, ინკვიზიცია და საშინელი ბართლომეს ღამე, გავიხსენოთ მაჰმადის ქადაგებაო.

მაგრამ ესეც არ კმარა. სხვადასხვა კერძო სარგებლობის სურვილით შეიძლება ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად გაიყოს საზოგადოება, ყველა თავისაკენ ცდილობდეს სასწორის გადახრას, უნდოდეს ბატონობა დედა მიწაზე ზოგს კიდევ უნდა ეხლავე დამყარდეს დედამიწაზე ბედნიერება, თანასწორობა და იბრძვის ამისთვის, ზოგი კიდევ უფრო თავის თავზე ჰფიქრობს და ამისთვის მუშაობს.

ან როგორ გინდათ მოათავსოთ ერთ პარლამენტში რამოდენიმე ეროვნების წარმომადგენელნი, ხომ ყველა მოისურვებს ბატონობას, ხომ ყველა დაიწყებს ბრძოლას პარლამენტში და ეს ბრძოლა ისეთი ძლიერი შეიქმნება, რომ ვეღარ ეღირსება ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას, ვეღარ ეღირსება კანონებს და იქმნება დარჩენილი უპატრონოდ,—მართვა-გამგეობის მაგიერად ჩამოვარდება ძალ-მომრეობა, მუშტი და კრივი...

ამას ამბობენ ხალხის განთავისუფლების მტერნი...

კუთხეებში მიმალულნი ესენი გამოდიან სოროებიდან ყოველთვის, როდესაც ხალხი ადგება გამოფხიზლების გზას და ცდილობს უკეთესად მოაწყოს თავისი მდგომარეობა. ისინი ყველაფერზე გაიძახიან,—„არ შეიძლება, ადრეა!" და აღარ იცის ადამიანმა, როდის-ღა მოვა დრო ამათის აზრით, როდის შეიქმნება ბავშვი სრულწლოვანი და ხალხი მომზადებული?.

მაგრამ ამ პირთა მოსაზრება ყალბია, შემცდარი და ამას ადვილად გაიგებს ყოველი ადამიანი.

ავიწყდებათ, რომ არსებობს ერთი ისეთი რამე, რომელიც სპობს ბევრ კითხვაში ყოველგვარ უთანხმოებას,—ეს არის საყოველთაო, ყველასთვის თანასწორი და ფარული კენჭის ყრა!

ადამიანი თავის კუთხიდან საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე გამოსული, ძალა-უნებურად ჰგრძნობს თავის პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე და ამიტომ თავის სურვილებშიაც უფრო მოფიქრებული და წინდახედული გამოდის.

საზოგადოების ყოველსავე წევრს აქვს უეჭველად რამე საერთო მიზანი, რომლისთვისაც [illegible] —საფინანსო, საკულტურო, სასამართლოს შესახები მიზანი და ეს ერთობა [illegible] დაამყარებს [illegible]

დაც სახელმწიფოს ბედი და იღბალი თვით ხალხის ხელშია, იქ არ შეიძლება არ შეუშინდეს ადამიანი ხალხის წინაშე პასუხისგებას და არ ეცადოს მოწინააღმდეგესთან საერთო ნიადაგის მოძებნას.

იქ, სადაც საყოველთაო, ყველასათვის თანასწორი და ფარული კენჭის ყრა არის შემოღებული, შეიძლება უმეტესობა და ამიტომ ბატონობაც იმათ ხელში გადავიდეს, ვინც ეხლა თითქმის ყოველ უფლებას მოკლებულია, შეიძლება ამათ შეავიწროვონ კიდეც უმცირესობა, სამაგიერო გადუხადონ იმ უსამართლობისათვის, რომელსაც წინად თვითონვე იტანდნენ მათგან, მაგრამ განა შეიძლება ამის გამო ხალხის გაბატონების წინააღმდეგი შეიქმნეს ადამიანი.

არა სჯობია განა რამე უსამართლობა დაემართოს უმცირესობას, ვიდრე უმეტესობას? ეს ხომ ნაკლები უსამართლობა იქნება.

იქ, სადაც მართვა-გამგეობის საქმე ხალხის ხელშია გადასული, სადაც საყოველთაო, ყველასათვის თანასწორი და ფარული კენჭის ყრა არის შემოღებული, ხალხის უმეტესობა მაინც კმაყოფილია, ვინაიდან ყოველთვის სრულდება მისი სურვილები, მათი ასრულება ხომ მისსავე ხელთ არის!

ხალხი წარმომადგენლებს რომ ირჩევს და საერო კრებაზე გზავნის,—წინდაწინვე დაწვრილებით არ ავალებს, რა უნდა ილაპარაკონ ან როგორ უნდა მოიქცნენ საქმეების განხილვის დროს, და ამიტომ წარმომადგენელი, დეპუტატი ვალდებულია საქმე თავისი სვინიდისით განსაჯოს ხოლმე. სვინიდისი-კი მარტო სარგებლობაზე არ არის დამყარებული და რაკი, უმცირესობის დაჩაგვრა დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს ხოლმე და საზოგადოების ერთ ნაწილში მაინც იწვევს გაკიცხვასა და წინააღმდეგობას, ამიტომ საფიქრებელია, რომ ხშირად არჩეული წარმომადგენლები ეცდებიან უმცირესობის სურვილებსაც მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და ამნაირად დაიმსახურონ საერთო პატივისცემა.

ამას გარდა, არის რამდენიმე კითხვა, რომელიც სრულებითაც არ უნდა შეიქმნეს საერთო განსახილველი.

ჩვენ დროში, მაგ., როდესაც საფრანგეთი ცდილობს და მოახერხებს კიდეც სრულებით ჩამოაშოროს ეკლესია სახელმწიფოს, ყველას მიეცე[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგონს ასვლა-ჩამოსვლაში ექვს-ექვსი წამი დასჭირდება. გზაში ვაგონის შესაჩერებელი მანქანაც,—ტორმოზები მოსწონებია კომისიას; დაქანებული ვაგონი საჟენ-ნახევარზე შეუჩერებიათ უცბად. ვაგონში მოთავსდება 50 კაცი. ფასი ასვლა-ჩამოსვლისა. 20 კაპ. დაუწესებიათ.

✦ ასამდე კაცმა წერილით თუ სიტყვიერად სთხოვა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომ **დასდგას მონტის დრამა „კაი გრაკხი"**. გამგეობამ შეუძლებლად სცნო წარმოდგენის გამართვა, რადგან ამ საქმეს წინ ეღობება ნივთიერი ხელ-მოკლეობა, თეატრის უქონლობა და დასის მოუწყობლობა.

✦ განსვენებულ ნ. ი. ზუბალაშვილის სახელობაზე აშენებული **ღარიბთა თავ-შესაფარი** ამჟამად, კომისიის სიტყვით, უკვე მზადაა, მხოლოდ მისი გახსნა აღდგომის შემდეგ იქნებაო.

✦ როგორც **გორიდან გვატყობინებენ**, 22 თებერვალს საღამოს 7 საათზე ქალაქის ნაწილის ბოქაული **ბარძიმ ავალიშვილი** თავის კანცელარიაში საქმეებს სინჯავდა; ამ დროს ფანჯრიდან **რევოლვერი უსვრია**. ტყვია ბოქაულს ასცდენია და კედელს მოხვედრია.

✦ როგორც შევიტყვეთ **ბორჯომის საზაფხულო თეატრი** იჯარით აუღია მომავალ ზაფხულისთვის ბორისოვ-მინჩენკოს, რომელმაც თავის ხარჯით უნდა შეაკეთოს თეატრის შენობა და წარმოდგენები გამართოს.

✦ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ნომერში მოთავსებულ მთავარ-მართებლის განკარგულებაში შეცდომით დაბეჭდილია: „ბძანება კავკასიის **საბოქაულო** ნაწილისადმი", უნდა იყოს „**სამოქალაქო**" ნაწილისადმი" და სხვ.

## სადღეისო

### რა გინდა?—რა გინდა კიდევ?

როდესაც ერი, გამოფხიზლებული, საკუთარ მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობს და არაფერს არ ზოგავს ამისთვის, რომ უკეთესად მოაწყოს თავისი ცხოვრება,—ყოველი გარეშე მაყურებელი ეკითხება მას გულში უთუოდ:

— რა გინდა?...

ერს უნდა ადამიანურად მოაწყოს თავისი ცხოვრება!

ადამიანი განირჩევა პირუტყვისაგან იმით, რომ პირუტყვი ცხოვრობს ბატონის ნებაზე,—ადამიანს კი უნდა უთუოდ იცხოვროს თავის ნებაზე, თავისი ჭკუით და თავისთვის!

პირუტყვი ბატონისათვის ტყავს იძრობს, თავისი ხორცით ასუქებს ბატონს,—ადამიანი ცდილობს თვითონვე იგემოს თავისი ნაშრომი!

პირუტყვს არა აქვს გრძნობა,—ადამიანი ვერ იტანს უსამართლობას, დაჩაგვრას...

ერს უნდა სხვის ხელში არ შეიქმნეს მეწველ ფურად, რომელსაც ინახავენ მხოლოდ იმისთვის, რომ მოსწველონ გადასახადი, და გაჭირვების დროს ომის ველზედაც გაგზავნონ ისე, როგორც ამ ფურსაც ჰგზავნიან საყასბოებში.

ერს უნდა თავისუფალი განვითარების უფლება.

უნდა, რომ მისი ქონება მისსავე საჭიროებას მოხმარდეს ყოველთვის, რომ საერობო გადასახადი არ იხარჯებოდეს უსარგებლოდ და ხშირად მავნებელ „სტრაჟნიკების" შენახვაზე, რომ ამ ფულით კეთდებოდეს სოფლებში გზები, გაუმჯობესდეს სწავლა-განათლების მდგომარეობაც.

უნდა, რომ ყველგან,—სოფლის კანცელარიაში იქმნება, სასამართლოში თუ სხვა რომელსამე დაწესებულებაში,—შეეძლოს ერის უკანასკნელ შვილსაც შესვლა თავისუფლად, უთარჯიმანოდ და უბოდიშოდ, რომ არ იყოს საჭირო ყველგან „ბატონო! შენი ჭირიმე"-ს ძახილი, რადგანაც ყველა ეს დაწესებულება მისი ფულით ინახება და აქ მოსამსახურე პირები მისი ჯიბიდან იღებენ ჯამაგირს.

უნდა, რომ სასწავლებლებში საზიზღარ „მუნჯური მეთოდი"-თ არ ამახინჯებდნენ ბავშვის გონებას, რომ აქაც ერის ენას, ბავშვების დედაენას მიეცეს შესაფერი ადგილი, რომ ამ ენაზე ისწავლებოდეს ყველა სამოსწავლო საგანი,—ვინაიდან ამ ერის ფულით, მისი ოფლით და დაგვით ინახება სასწავლებლები.

უნდა, რომ არ სჭირდებოდეს მას სახამსახუროდ უცხო ქვეყანაში გადასვლა, იმ ხალხში, რომლის ზნე-ჩვეულება და აწინდელი მდგომარეობა მან არ იცის და არც უნდა იცოდეს...

უნდა, რომ უმიწა-წყლობით შეწუხებულს შეეძლოს დასახლება აქვე, ცალიერ ადგილებში, სადაც მისთვის ნიადაგის თვისებაც ნაცნობი და ჰავერიც შესაფერია და რომ ასეთ ადგილებში სხვადასხვა გარეშე, მის სამტრო მიზნით, არ ასახლებდნენ უცხო ქვეყნიდან გადმოსულებს..

უნდა... მაგრამ ვის შეუძლიან ჩამოსთვალოს ყველაფერი, რაც უნდა, ან რის მონდომებაც შეუძლიან უთუოდ ახლად გამოფხიზლებულ ერს, მთქმელს ხომ გამგონის სჭირია და აგერ გამგონიც ეუბნება თავის ქნევით და მოფერებით:

— კარგია, კარგი! დასწერეთ, დაასაბუთეთ!..

რას უნდა დასაბუთება? იმას, რომ ადამიანს სიცოცხლე სჭირია, ნამდვილი, ადამიანური სიცოცხლე? იმას, რომ უჰაეროთ სიცოცხლე არ შეიძლება, რომ ყოველ დღე სჭირია ადამიანს ჭამა-სმა,—უნდა ამაებს დასაბუთება?

და განა ზემოდ ჩამოთვლილი სურვილები ისეთივე ცხადი არ არის, ისეთივე უეჭველი და აუცილებელიც?

დაწერა-დასაბუთებას დრო უნდა დიდი, ამას უნდა ისეთ პირების შეკრება, რომ შეეძლოთ შემდეგ ხალხის სახელით ხმის ამოღება, ამას ხომ კიდევ მოლოდინი სჭირია...

მერმე ეს დაწერილიც ხომ უნდა წაიკითხონ, მოყვანილ საბუთებს შემოწმება სჭირია და ყველაფერს მიწერ-მოწერა, დროს დაკარგვა და ხალხისაგან უწინდელ უნუგეშო, აუტანელ მდგომარეობაში დარჩენა?..

ან რა საჭიროა მაინცადამაინც ხალხის სურვილის გაგება, თვით ხალხისაგან მის მრავალგვარ საჭიროების აღნუსხვა?

ხომ იმავე ბიუროკრატიამ უნდა გაარჩიოს ერის ცრემლით, ოფლით და სისხლით აღწერილი მრავალგვარი საჭიროება!

იმავე ბიუროკრატიამ, რომელიც ყველაფერში უვარგისი გამოდგა!

მიიღებს ქაღალდს, გადიკითხავს, გასინჯავს იქვე მოყვანილ დასაბუთებას და ისევ უგულოდ და უსიცოცხლოდ იკითხავს.

— რა გინდა კიდევ?..

ერს უნდა კიდევ, რომ მალე, ძალიან მალე მოეწყოს საქმე და სასურველ კალაპოტში ჩადგეს საზოგადო ცხოვრება.

და რაკი მთავრობას განუზრახავს საზოგადოდ საქმის გამოსარკვევად მოიწვიოს ხალხის წარმომადგენელნი საერთო კრებაზე, ამიტომ აუცილებლად არის საჭირო ადგილობრივ საჭიროებათა გამოსარკვევად, ადგილობრივ საქმების მოსაწყობად ასეთივე კრება იყოს მოწვეული ეხლავე აქაც, კავკასიაში...

მხოლოდ მაშინ გვექნება იმედი, რომ შესაფერად იქნება გამორკვეული ყველა ადგილობრივი საჭიროება და მათ დასაკმაყოფილებლად შესაფერი ზომებიც გამონახული.

პეტერბურგის კრებას არ ეცლება კავკასიისთვის,—იქაურ საზოგადოებას ბევრი საკუთარი ვარამი აწუხებს და ამიტომ ჩვენც არ უნდა დავრჩეთ იქაურ კრების იმედით..

ნ. ნ.

## მაჰმადიანთა მდგომარეობა რუსეთში.

დღეს, როდესაც ამდენი წერილები იბეჭდება სომხეთა და მაჰმადიანთა შორის მომხდარ შეტაკების შესახებ არ იქმნება ურიგო თვით მაჰმადიანების მდგომარეობაც გავახსენოთ მკითხველ საზოგადოებას.

მათი მდგომარეობა მართლაც რომ ყოვლად უნუგეშოა. ბიუროკრატიამ აქაც ჩაჰკლა ძირში მაჰმადიანთა განვითარების პირველივე სურვილი, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში.

მაჰმადიანი რუსეთში განუვითარებელი და ჩამორჩენილია, მაგრამ დამნაშავეა ამაში ის გარეშე პირობები, რომელიც ხელს უშლის მათ განვითარებას და არა თვით მაჰმადიანობა. როგორ უნდა დავწამოთ ბუნებით უკულტურობა იმათ, ვისაც საზოგადოდ სასირცხვილოდ მიაჩნია წერა-კითხვის უცოდინარობა. მაგრამ თურქესტანში და სხვაგანაც საპოლიციო წესწყობილების გამო უწინდელი ბრწყინვალე მედრესეები, სადაც უწინ აყვავებული იყო არაბეთის მეცნიერება, საიდანაც ეფინებოდა სწავლის სხივი მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიას, ეხლა არარად იქცნენ! მდინარე ვოლგის ნაპირებზე ადმინისტრაცია თვალყურს ადევნებს იქაურ თათრების მექტებებს.

საკმარისია რომელიმე მექტებში უკედ შეიქმნეს მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე, საკმარისია გაითქვას მაჰმადიანებში რომელიმე მექტებემ სახელი, საკმარისია მოემატოს მას მოსწავლე ახალგაზდობის რიცხვი,—მაშინვე გამოჩნდება „უფროსის" ფხიზელი ხელი და მექტებეც იკეტება „რამოდენიმე ხნით" „ახალ განკარგულების მიღებამდის".

ამნაირი ზომების გამო რუსეთის მაჰმადიანობა თვით რუსებზე უფრო დაქვეითებული და ჩამორჩენილი შეიქმნა,—მაჰმადიანობა უფსკრულის კიდეზე სდგას, ისეთ პირობებში ჩაყენებული, რომ თითქმის ხსნაც აღარსაიდან აღარ სჩანს. არა აქვთ მაჰმადიანებს გაზეთები, არა აქვთ სასწავლებლები (კანონისაგან ნება-დართული), მაჰმადიანთა საზოგადო ცხოვრება არარად ქცეულია და დახშულია მათში ძალით ყოველივე თავისუფალი აზრი, ან მოქმედების სურვილი.

დღეს, როდესაც რუსეთის საუკეთესო ნაწილი ერთხმად აცხადებს პროტესტს არსებულ ბიუროკრატიულ წყობილების შესახებ, მხოლოდ მაჰმადიანები რჩებიან გარიყული,—მათი არსებობა თითქო დავიწყებული აქვს ყველასო...

ბაქოში მომხდარმა უბედურებამ თითქო მიაქცია საზოგადოების ყურადღება მაჰმადიანების უნუგეშო მდგომარეობას კავკასიაში, და დაანახა ყველას, რომ საჭიროა, აუცილებლად არის საჭირო, მიეცესთ მათ სწავლა-განათლების მისაღებად ყველა ის უფლება, რომელიც აქვს ან ექმნება მინიჭებული შუაგულ რუსეთის მცხოვრებლებს. („ნოვოსტი").

ჯემილ ალექსანდროვიჩი.

## გლეხთა განთავისუფლების მიზეზი რუსეთში*)

თითქმის ყველამ იცის, რომ გლეხები გაანთავისუფლეს 1861 წ. 19 თებერვალს, მაგრამ ყველამ არ იცის განთავისუფლების მიზეზი...

აქ საჭირო არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ან როდის შემოვიდა ბატონყმობა რუსეთში, ბატონყმობის ისტორია ჯერ სრულად გარკვეული არ არის.

მთელი ხალხის მონობა ყოველთვის ძნელი ასატანია და ხალხიც ყოველთვის ცდილობდა დაეხსნა თავი მონობისათვის,—ასე იქცეოდა თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. ადამიანის დამცირება, მისი შეურაცხყოფა, მისი გაყიდვა უბრალო პირუტყვსავით, ცოლის ცალკე და ქმრის ცალკე და ბავშვებისაც კიდევ ცალკე,—საშინელი, საზარელი შრომა ბატონისათვის და ამისათვის ორიოდე ლუკმა პური,—აი გლეხობის ნამდვილი მდგომარეობა რუსეთში. გლეხი ბატონისთვის იგივე ხარი იყო, სამუშაოზე საჭირო.

თუმცა გლეხობა დამცირებული და დაშინებული იყო, მაგრამ მაინც გრძნობდა თავის მდგომარეობის უვარგისობას და პროტესტს აცხადებდა ხოლმე, როგორც შესძლებდა. ამ პროტესტის გამოცხადება შეიძლებოდა მხოლოდ აჯანყების სახით, ბატონების სახლობის გადაწვით, უფრო გამხეცებულ და სასტიკ ბატონების მოკვლითაც—და ასეც იქცეოდნენ გლეხები. გლეხთა უკმაყოფილება შეიქმნა პუგაჩევის აჯანყების უმთავრეს მიზეზად, და მათი აჯანყება სულ ერთია მოხდებოდა მაინც, რომ არ გამოჩენილიყო კიდეც პუგაჩევი, რომელიც ხალხის სურვილების გამომხატველი შეიქმნა.

ხალხის მოთმინების ძარღვი გაწყდა იმ დროში და სწორედ ამიტომ იყო, რომ აჯანყება ორი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა და რომ განსაკუთრებით თავად-აზნაურებს ჰხოცავდნენ.

ეკატერინე მეორემ ამ საქმის გამოსაძიებლად რომ კომისია მოიწვია, ამბობდა—აჯანყების მოსპობა ძალით არ შეიძლებაო,—ერთ მოკლულ აზნაურისთვის რომ მთელი სოფელიც ამოვწყვიტოთ, ამით მაინც ვერაფერს გავხდებით. ამითი მტკიცდება, რომ მთავრობას მაშინ სცოდნია უკვე გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა და იცოდა აგრეთვე, რომ ძალადობით ამ მდგომარეობის გაუმჯობესება არ შეიძლება.

მაგრამ, როგორც სჩანს, ასეთი აზრი ცხადი იყო მხოლოდ რამდენიმე კერძო პირისთვის, ვინაიდან მთავრობა ნამდვილად სულ სხვა გზას დაადგა, და სამაგიეროდ გლეხთა აჯანყება არ შეწყვეტილა მას შემდეგ მათ განთავისუფლების დიად წამამდის.

ყოველწლიურად იყო აჯანყება, ხან ოცი, ხან ორმოცი, ხან კიდევ მეტი აჯანყების შემთხვევა იყო რუსეთში.

მაგრამ ამნაირ პროტესტს მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს მოემატა კიდევ სხვა გვარი პროტესტიც. ალექსანდრე რადიშჩევმა დასწერა წიგნი („მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში"), სადაც დამონებულ და შევიწროებულ გლეხობის მხარს იჭერს და მათ განთავისუფლების საჭიროებას ამტკიცებს. ამ თხზულებისათვის რადიშჩევს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ შემდეგ შეუმცირეს დასჯა და 10 წლით გაგზავნეს იაკუტსკში,—მაგრამ მისი აზრები მალე მოედო მთელ რუსეთს და შემდეგ, როდესაც რუსეთის ჯარი ჩაჰყვა 1813—1814 წწ. პარიზში, როდესაც იქ რუსებმა შეითვისეს საფრანგეთის მწერალთა აზრები,—რომ ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი დაბადების დღიდან სიკვდილამდის,—მაშინ რუსეთში შესდგა ახალი მოძრაობა, რომელიც 1825 წ. 14 დეკემბრის აჯანყებით დასრულდა...

მაგრამ მონობა რუსეთში კიდევ 25 წლის განმავლობაში არ მოსპობილა.

როგორც ეხლა დაეცა პორტ-არტური, ისე 1855 წ. დაეცა სევასტოპოლი. როგორც ეხლა რუსეთმა დაჰკარგა თავისი ფლოტი, ისე დაჰკარგა მან ყველა თავისი გემი სევასტოპოლში. როგორც ეხლა დაინახა ყველამ რუსეთის უკულტურობა, ისევე იყო მაშინ სევასტოპოლის აღების შემდეგ. მთელი საზოგადოება ხედავდა მაშინ, როგორც ხედავს ეხლაც, რომ აღარ შეიძლება ასეთ პირობებში დარჩენა, რომ აუცილებელი საჭირო არის ამ პირობების გამოცვლა. ამავე დროს მოქმედებდა ეკონომიური მიზეზიც. ბიუროკრატიამ დაინახა, რომ არ შეიძლება ბატონყმობის უღელში ჩაბმულ მონების საშუალებით საქარხნო მრეწველობის შემოღება რუსეთში, და ეს მრეწველობა კი აუცილებელი საჭირო იყო სახელმწიფოსთვის.

იგივე პირობები, როგორიც ეხლა, იგივე ომი, იგივე ნავთსადგურის და ფლოტის დაკარგვა, უბედური ომი და ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა...

მაგრამ მაშინ ამ პირობებმა გამოიწვიეს ბატონ-ყმობის, ერთნაირი მონობის მოსპობა.

რას უნდა მოველოდეთ ამავე მიზეზით მოქმედების შედეგად ეხლა, რას მოსპობს ეხლანდელი მდგომარეობა?

## პრესსა

„აირია მონასტერიო",—გაიძახის რუსეთის ცნობილი გაზეთი „ნოვოე ვრემია":

„წარმოუდგენლად არის არეული ჩვენი აზრი და შეხედულება. მუდამ რყევაში ვართ, არ შეგვიძლია შევჩერდეთ რომელსამე ერთ აზრზე, უგზო-უკვლოდ დავცოცავთ ბნელაში, და მხოლოდ სხვადასხვა უკიდურეს მიმართულების მიმდევრებმა თუ იციან, რა [illegible]ბიან, თორემ უმეტესობას თავისი საკუთარი სურვილიც არ ესმის, როგორც რიგია.

უკიდურესი კონსერვატორის მიმართულება თხოულობს მთავრობის გაძლიერებას, მოითხოვს ამისთვის რეპრესიას, ძალას, ყოველივე თავისუფალ აზრის და მიმართულების დახშობას.

ევროპის მიმდევარი მიმართულება კიდევ მოითხოვს კონსტიტუციას და თავისუფლების მოპოვების გულისთვის მზად არის თითქმის გაამართლოს მთავრობის საწინააღმდეგოდ ყოველივე ძალმომრეობა.

ზოგიერთი ანარქისტი ან ტერორისტი-კი თავის მხრივ ისახავს მიზნად ყველაფრის დარღვევას, სახელმწიფოს, საზოგადოების და ოჯახის მოსპობას და მერმე.... რაც იქმნება იყოსო...

რუსეთის საზოგადოება ჰხედავს ყველა მიმართულებას, ირყევა, ვერ გადუწყვეტია, რომელს მიემხროს, ან რომელს გაუწიოს წინააღმდეგობა.

ბიოროკრატიულ წესწყობილების არაფერი აღარ სწამს და უნდა რუსეთში ახალი წესწყობილება დამყარდეს...

ვრცელდება, მაგ., ხმა რუსეთში შიმშილობის შესახებ, ესმის საზოგადოებას, რომ თანდათან უფრო ხშირია ავაზაკობა, ხშირია ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა, ჯარის დამარცხება,—და ხალხიც გაიძახის ამაზე,—არ ვარგა ჩვენი ბიუროკრატია, გვინდა ახალი წყობილებაო!... კონსტიტუციის მომხრეთა რიცხვი მატულობს.

მაგრამ მეორე დღეს ვრცელდება ხმა, რომ გაიფიცა ვიღამაც, რომ ყუმბარა ესროლეს ვიღაცას, რომ აჯანყების გზას ადგება ხალხი.. და საზოგადოებაც, შეშინებული, ისევ ბიუროკრატიას ევედრება, დაგვიხსენიო! ბიუროკრატიაც სარგებლობს ამითი, რეაქცია ძლიერი ხდება... ამნაირად საზოგადოება ვერ ადგება გადაჭრილ მიმართულებას.

მართლის თქმა „ნოვოე ვრემია"-საც შესძლებია, მაგრამ საქმე ის არის, რომ არ ეხერხება ხოლმე მართალ ფაქტზე შესაფერის მოსაზრების აგება და ამიტომ ხშირად სჯობია სულ გამოვტოვოთ ამ გაზეთის საკუთარი აზრი ამა თუ იმ საქმის საუკეთესოდ მოწყობის შესახებ.

—

«მოსკოვის უწყებები» დიდის გულის წყრომით ატყობინებენ მკითხველ საზოგადოებას ხარკოვის ზოგიერთ პროფესორისაგან შედგენილსა და **დაბეჭდილს მემორანდუმს**, რომელიც წარდგენილია უნივერსიტეტის საბჭოში. ამ მემორანდუმს ეხლა ხარკოვის ყველა სტუდენტი და მცხოვრებიც კითხულობსო აშკარად.

პროფესორები ამბობენო, რომ არ შეიძლება უნივერსიტეტში საქმის რიგიანი მოწყობა მანამ არ იქმნება საზოგადოთ მოწყობილი მთელი სახელმწიფოს წესი და წყობილება.

„თვით დასავლეთ ევროპაშიც ყოფილა, რომ სახელმწიფოში, სადაც წეს-წყობილება ვერ აკმაყოფილებდა გამოღვიძებულ ხალხის საპოლიტიკო მოთხოვნილებას, იწყებოდა სტუდენტებში დაუსრულებელი მღელვარება და ამ მღელვარების დაწყნარება ვერსად ვერ შესძლებია მთავრობას სასტიკის ზომებით. მაგრამ, როდესაც განახლდა საპოლიტიკო წეს-წყობილება და როდესაც ძველ წესების მაგიერად შემოვიდა ახალი, უფრო განვითარებული წესები,—თავის თავად ისპობოდა ყოველი არეულობა უნივერსიტეტებში და გუშინდელი მეამბოხე ახალგაზდობა მშვიდობიანად დაადგა სწავლა-განათლების საქმეს. თუმცა ყოველთვის მაინც ცდილობდა შეერჩინა ხელუხლებლად საუნივერსიტეტო ცხოვრების თავისუფლება და ხელუხლებლობა.

თანამედროვე პირობებში შეუძლებელია აღვადგინოთ უნივერსიტეტებში წეს-რიგი და ნამდვილი სწავლება. ეხლანდელ არა სანატრელ მდგომარეობის მოსაშორებლად ერთად-ერთი გზა არის დარჩენილი ამ ჟამად,—უნდა ეხლავე შეიცვალოს ძირიანად უნივერსიტეტების წესდება,—ახალი წესდების შემუშავებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც, უნივერსიტეტებს უნდა მიენიჭოს ავტონომია და საკადემიო თავისუფლება. მაგრამ თვით ამ ახალ წესდების შემუშავება და მისი ხანგრძლივ არსებობაც შემდეგში არ შეიძლება, თუ არ იქმნა იმავე დროს შემოღებული არსებულ წესწყობილების საერთო ცვლილებაც, თუ არ იქმნა შემოღებული საჭირო კანონები იმისთვის, რომ იყოს უზრუნველყოფილი სვინიდისის, სიტყვის, ჟურნალ-გაზეთობის თავისუფლება, კერძო სადგომის და პიროვნების ხელუხლებლობა, შეკრებილების და შეკავშირების თავისუფლება, თუ არ იქმნა, ერთის სიტყვით, დამყარებული წესიერება სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში ხალხისაგან თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა კრებაზე.

ამ ქაღალდზე აწერენ ხელს ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორები: ლ. გირშმანი, დ. ბაგალეი, ვ. ბუზესკული, ა. გრუდინცევი, ა. კისელევი, ვ. ლევიტსკი, ნ. მელნიკოვი-რაზვედენკოვი, ს. ნიკონოვი, ი. ორშანსკი, პ. პიატნიცკი, ლ. რეინგარდი, ნ. სოკოლოვი, ნ. სუმცოვი, გ. შულცი, ნ. გრედესკული და ვ. სტეკლოვი.

ზედ აწერია კიდევ: დასაბეჭდათ ნება დართულია. ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორი ნ. კუპლევსკი.—ხარკოვი. მ. ზილბერბერგის და შვ. სტამბა და ლიტოგრაფია.

## რუსეთი

**მეორე კრება განსაკუთრებულ კომისისა**, რომელმაც ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს, მეტად საინტერესო ყოფილა. სახელდობრ, კრებას ჟურნალ-გაზეთის დაარსების უფლების შესახებ ჰქონდა მსჯელობა: ყველას მიეცეს უფლება გაზეთის გამოცემისა, თუ არსებული წესი დარჩეს, ე. ი. რომელიც სხვადასხვა ფორმალურ განკარგულებითა და კანონით ზღუდავს გამომცემლის უფლებას. უკანასკნელს კრებაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, თავადი მეშჩერსკი და წერტელიევიც ყოფილან. მათის აზრით, ეხლანდელი დრო და ვითარება გაორკეცებულ სიფრთხილეს ითხოვენ. რომ გამოცემის უფლება ისეთ კაცს არ ჩაუვარდეს ხელში, რომელიც საზოგადო მშვიდობიანობისთვის მავნე იქმნებაო. პირიქით ეხლა საჭიროა მეტი კონტროლი და ყურის გდება, თორემ, როგორც ამას წინად სუვორინმაც სთქვა, მთელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ურიებს ჩაუვარდებათ ხელშიო. გამოცემის თავისუფლებას იცავდნენ კრებაზე კონი, არსენიევი და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი დერიუჟინსკი. კრებამ გადასწყვიტა, პეტერბურგის რედაქტორებსა და გამომცემლებს წინადადება მისცეს აირჩიონ სამი წარმომადგენელი რჩევაზე დასასწრებლად.

(„რ. უ.")

---

ნოების სრული თავისუფლება მოსპობს ფანატიკოსობას, მოსპობს სარწმუნოებრივს განხეთქილებას და შესაძლოდ გახდის სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელისაგან ერთმანეთის სიყვარულს.

სად იყო ხალხის ბატონობა იმ დროს, როდესაც ჯვაროსანთა ომმა ურიცხვი საუკეთესო მეომარი შეიწირა ტყუილა-უბრალოდ, სად იყო ხალხი გაბატონებული ინკვიზიციის დროსაც, განა ხალხის ნაბრძანებით იყო ბართლომეს ღამეს ხალხის ამოჟლეტა და განა ხალხს ურჩევდა მაჰმადი სარწმუნოების გასავრცელებლად ხელში იარაღის აღებას?

არა! ხალხი ამნაირ გზას არასდეს არ ადგია და არ დაადგება შემდეგში. ომი, ბრძოლა, სისხლის ღვრა,—გაბატონებულ კლასების სურვილით ხდებოდა ყოველთვის და მათივე სასარგებლო ყოფილა. ამიტომ არ უნდა გავიხსენოთ ასეთი რამე, როდესაც ვლაპარაკობთ ხალხის წარმომადგენლობაზე, საერ. კრებაზე...

ესევე ითქმის ეროვნულ ბრძოლაზე. რად უნდა გავკვირდეს ეროვნულ ბრძოლის არსებობა იქ, სადაც ერთი ერია დამონებული სხვისაგან, სადაც ისეთი სახელმწიფოს წესწყობილება არის შემოღებული, რომ ეს დამონება და ეს ბრძოლა ხდება აუცილებელი ხალხისთვის.

ცენტრალიზაცია არაფერ საქმეში არ ვარგა, მით უფრო იქ, სადაც რამდენიმე სხვადასხვა ერი ცხოვრობს ერთად სახელმწიფოში—ერთ ტაფაში მოყოლილი ორივე ერთმანეთის სიახლოვით სწუხს და იტანჯება, ორივეს უნდა კულტურული განვითარება, სწავლა-განათლების გავრცელება და გაუმჯობესობა, ყველას უნდა მოიწყოს საქმე ისე, რომ ისიც ყველგან იყოს შინაურივით, ყველგან ესმოდეს თავისი ენა, ყველგან თავისიანებს ჰხედავდეს...

ეგევე მეორე ერსაცა სურს და როგორ უნდა მორიგდნენ ერთმანეთში, თუ ორივე ერთად არის შეზღუდული, როგორც ამას ვხედავთ ყველგან, სადაც რამდენიმე ერი სცხოვრობს იმავე სახელმწიფოში?

უსიამოვნების მოსასპობად აუცილებლად არის საჭირო ორივე ერის დაშორება ერთმანეთისგან საჭიროა, რომ ყველას, შეძლებისამებრ, ჰქონდეს თავისი საზღვარი, რომ ამ საზღვრებში მხოლოდ ერთი რომელიმე ერი შეიქმნეს ბატონი.

არ არის მაინცადამაინც საჭირო, რომ ყველაფერში, ყველაფერ საქმეში იყვნენ სხვადასხვა ერები ჩამოშორებული ერთმანეთს, არა, ამათ მრავალი საერთო მიზანი აერთებს,—სავაჭრო და სამრეწველო საქმეები, რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფის საქმე და სხვადასხვა. სულ ისეთი საქმეებია, რომ ამაში რამოდენიმე სახელმწიფოც არის ხშირად დაინტერესებული, მაგრამ როგორც ცალკე სახელმწიფოები ამ საქმეების მოსაწყობად ეკვრებიან ერთმანეთს პირობით და შინაურ საქმეების მართვა-გამგეობაში კი სრულებით დამოუკიდებელი რჩებიან, ისე ცალკე ერები, ეს პატარა საპოლიტიკო ერთეულები, უერთდებიან ერთმანეთს საერთო საქმეების მოსაწყობად და გასარიგებლად,—თავიანთ შინაურ, კერძო, ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობაში კი ერთმანეთზე სრულებით არ უნდა იყვნენ დამოკიდებული.

ამნაირად შესდგება ფედერატიული სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოებს საერთო მთავრობაც ეყოლებათ, როგორც, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის შტატებს საერთო პრეზიდენტი ჰყავთ ან გერმანიის სახელმწიფოებს საერთო იმპერატორი, მრავალი საქმე აქვთ ამათ საერთო, საერთოა აგრეთვე ზოგიერთი შემოსავალი და გასავალი.

მაგრამ ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობაში საერო მთავრობა ვერ გაერევა, ის მართვა-გამგეობა ავტონომიის პრინციპზე არის აშენებული, ე. ი. იმ პრინციპზე, რომ ადგილობრივ საქმეები უნდა გაარჩიოს და გადაწყვიტოს ადგილობრივმა ხალხმა, იმ პრინციპზე, რომ ყველა უნდა შეიქმნეს თვითონ თავისი გამგე.

ამერიკაში ან გერმანიაში რომელსამე მიყრუებულ განაპირა ადგილის საქმეები საერთო მთავრობის გადასაწყვეტი თუ შეიქმნა, ეს წესი იგივე ბიუროკრატია იქმნება, მხოლოდ ბიუროკრატია ხალხისა, როგორიც შეიძლება იყოს ბიუროკრატია მეფისა. ცენტრალიზაცია ბიუროკრატიის განუშორებელი იარაღია, ისეთი განუშორებელი, რომ მათი ურთმანეთოდ წარმოდგენა შეუძლებელია

როდესაც საყოველთაო საარჩევნო უფლების, ხალხის წარმომადგენლობის საწინააღმდეგოდ მოაქვთ იერიშები, ივიწყებენ, რომ თვით ეს სიტყვები: «საარჩევნო უფლება», «საერო კრება» ყველაფრის გამომხატველი არ არის და რომ თვით ეს „საარჩევნო უფლება" შეიძლება იყოს უსამართლოდ განაწილებული და რომ საერო კრებაც შეიძლება იყოს დამყარებული ცენტრალიზაციის პრინციპზე, ე. ი. შეიძლება ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაიქცეს განაპირა ქვეყნებისათვის.

ამიტომ ყველა, ვინც ხალხის წარმომადგენლობის ნამდვილი მოტრფიალეა და გულით ნატრობს, ეს წარმომადგენლობა ყველასათვის სამართლიანი შეიქმნეს, უნდა ეცადოს უთუოდ, რომ 1) საარჩევნო უფლება იყოს საყოველთაო, თანასწორი და კენჭის ყრაც ფარული და რომ 2) სახელმწიფო იყოს მოწყობილი დეცენტრალიზაციის პრინციპზე და მის ყველა შემადგენელ ნაწილს მიენიჭოს ცალცალკე ავტონომია.

მხოლოდ ამითი შეიძლება ააცდინოს ადამიანმა საზოგადოებას ის შედეგები, რომელიც ზოგიერთ სიბნელის მომხრეს მიაჩნია ხალხის გაბატონების აუცილებელ შედეგად.

ყოველ უსიამოვნო მოვლენას უნდა მოუნახოს ადამიანმა მისი შემქნელი მიზეზი და მხოლოდ ამ მიზეზის მოსპობით შეიძლება შემდეგ მოვლენის სამუდამოდ მოსპობაც.

ამიტომ თუ ვხედავთ, რომ ხალხი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილა, თუ ვხედავთ, რომ მას თანდათან ეკლდება ყველა ის უფლება, რომელიც აუცილებელია ადამიანის კულტურისათვის, და რომ ამიტომ დღითი-დღე, განვითარების მაგიერად, ხალხის მდგომარეობა უარესობაში ვარდება, ხალხი ღარიბდება, ჰკარგავს იმედს ან კიდევ გაუცდებით უკეთეს მომავალის ძებნასაც ადგება,—უნდა ჩავუკვირდეთ, რა მიზეზით არის შექმნილი ასეთი მდგომარეობა, უნდა გავითვალისწინოთ ცხოვრების პირობები და ჩვენს თავს მივსცეთ პასუხი,—შეიძლება თუ არა ამ პირობებში ხალხის დარჩენა, და არის გასამტყუნარი ხალხი თუ არა, რომ ეძებს, მუდამ ეძებს უკეთეს პირობებს...

არის ხალხში ზოგიერთი ისეთი მოთხოვნილება, რომელსაც დაკმაყოფილება სჭირია უთუოდ, არის ზოგიერთი ისეთი უფლება, რომლის შელახვას ხალხი არ აპატიებს არავის და სწორედ ამიტომ არის საჭირო სრული, განუსაზღვრელი თვითმართველობა ეროვნულ საქმეების მოწყობა-გამგეობაში.

ლ.—ძე.

---

*) „ჩერნომ. პობერ." № 614.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუშების საერთო კრება.** 16 თებერვალს მომხდარა ლიგოვის სახალხო სახლში. კრებას უნდა თავისი წარმომადგენლები აერჩია შიდლოვსკის კომისიაში. ეს კომისია, როგორც სხვადასხვა პატარ-პატარა კრებამ მუშებისამ გამოარკვია, მუშებისთვის მაინცადამაინც სანდომი არ არის, რადგანაც სიტყვის თავისუფლება, წარმომადგენელთა ხელ-უხლებლობა, ურომლისოდ, ცხადია, ბევრი მუშა ვერ გაბედავს მონაწილეობის მიღებას, ძლიერ ბუნდად არის კომისიის მიერ გამორკვეული და გამოთქმული, და ამიტომაც საერთო კრებას ყველა მუშების სახელით კომისიისათვის თავისი რეზოლიუცია წარუდგენია და აღუნიშნავს,

1) კომისიის მიერ შემუშავებული წესი არჩევნებისა ნებას არ აძლევს მუშებს თავისუფლად მოილაპარაკონ თავიანთ საქმეებზე და ამრიგად ღირსეული კანდიდატები აირჩიონ წარმომადგენლებად.

2) კომისიის მიერ არჩეულ მუშაობის რიგი და წესი არ აძლევს მუშებს საბუთს, რომ ყველა მათი გაჭირება შესაფერად გარკვეული და გათვალისწინებული იქნება კომისიაში, რისთვისაც საჭიროა, ა) კომისიის სხდომას ერთ დროს ყველა დეპუტატები ესწრებოდნენ და არა თითო-თითო იყვნენ ხოლმე გამოწვეულნი **ჩვენების ჩამოსართმევად**. ბ) ყოველს დეპუტატს სრულებით **თავისუფლად შეეძლოს ლაპარაკი** სხდომის დროს და გ) ანგარიში ყოველი სხდომისა სავსებით იბეჭდებოდეს გაზეთებში **ცენზურის ხელ-უხლებლივ**.

3) კომისიის მიერ შემუშავებული გეგმა მუშაობისა მუშების დეპუტატების პიროვნების ხელ-შეუხებლობას არ უზრუნველყოფს, რადგანაც კომისია ამბობს, უნდა იყოს მხოლოდ **საქმის შესახებ მსჯელობა**, ეს კი არაფერსა ნიშნავს და ძნელი გასაგებია. ამისათვის საჭიროა ახლავე გამოითხოვოს კომისიამ ყველა იმ მუშების განთავისუფლება, რომელნიც 1 იანვრის შემდეგ შეიპყრეს და მხოლოდ მაშინ დაიჯერებენ მუშები, რომ კომისიას მათი ბედი მართლა აფიქრებს.

და 4) მოწვეული უნდა იყოს სხვადსხვა **წვრილ სამრეწველოთა მუშების წარმომადგენლებიც**, რათა ამით მეტი სამართლიანობა იყოს დაცული, რადგანაც მათი მდგომარეობა საერთოდ უფრო ცუდი და შევიწროვებულიაო:

დასასრულ, რეზოლიუცია ამბობს, მხოლოდ ამ მუხლების შესრულება დაანახვებს მუშებს, რომ მთავრობა მართლა მზად არის მათი ბედი გააუმჯობესოს და მუშებიც დაივიწყებენ წარსულ უბედურებას და მიენდობიან კომისიას; დეპუტატებსაც მხოლოდ მაშინ აირჩევენ.

კომისიამ მუშების თხოვნა არ შეიწყნარა, მუშებმაც აღარ აირჩიეს დეპუტატები და, როგორც გუშინდელი დეპეშა იუწყება, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით შიდლოვსკის კომისია მოსპობილ იქმნა.

**საერთო პროტესტს** ეკატერინოსლავის ქალთა სამკერვალოს მუშა ქალებმაც შეუერთეს თავიანთი ხმა. ამ დარგის მუშა ქალების სამუშაო დღე თურმე იშვიათ შემთხვევაში 17—18 საათზე ნაკლები. მუშა ქალებმა მოითხოვეს შემოღებულ იქმნეს ათ-საათიანი სამუშაო დღე, აიღაგმოს სამკერვალოების პატრონების უდიერი მოპყრობა, გინება, ცემა-ტყეპა, ფიზიკური და ზნეობრივი შევიწროება, რომელსაც მუშა ქალი ითმენს, ბავშვობიდან მოყოლებული, დაედოს აგრეთვე ლაგამი შემკვეთელ ქალბატონების ჟინს და ცუდად მოპყრობას, მოემატოთ ხელფასი და სხ. («ნოვოსტი»).

**შიდლოვსკის კომისიაში** შემდეგი განცხადება შეიტანეს ქაღალდისა და საქსოვ სამრეწველოების მუშა-ქალებმა: „თქვენ თავმჯდომარეობით მყოფ კომისიაში მუშა-ქალების დეპუტატები არ მიიღეთ. ამისთანა განკარგულება უსამართლოდ მიგვაჩნია. პეტერბურგის ქარხნებში და სამრეწველოებში მუშა-ქალთა რიცხვი გაცილებით მეტია მამაკაცებისაზე. ჩვენ, ქალებს, უფრო მეტი ჯაფა გვაწევს და ჩვენ უფრო მეტად გვჩაგრავენ. როდესაც თქვენი კომისია დაარსდა, ჩვენ სიხარული შეგვექნა, ეხლა გვეძლევა ღონისძიება მთელ რუსეთს ვამცნოთ რუსის მუშა-ქალთა სახელით ყველა ის გაჭირვება და შეურაცხყოფა, რომელსაც მუშა-კაცი თავის დღეში არც გამოცდის და არც იცნობს. და, აი, ამ დროს ჩვენი დეპუტატები თქვენს კომისიაში არ შეუშვესო.“ („რ. უ.“).

**ვარშავის რკინის გზის უმთავრესი სახელოსნოები** დაიკეტა 16 თებერვალს, რადგანაც მუშები შეუძლებელს ითხოვენ და მშვიდობიანად არ მუშაობენო, გამოაცხადა პეტერბურგის სახელოსნოების უფროსმა კომიტემა. (რ. უ.).

**მუშათა მოძრაობა**, მოსკოვის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორების აზრით, მხოლოდ დროებით შეჩერდა და მალე ისევ იჩენს თავს, რადგანაც მისი მიზეზები ღრმად არის დამარხული როგორც თვით მუშების მდგომარეობაში, ისე საზოგადო სოციალურ პირობებშიო, მეტადრე სახალხო სწავლა-განათლების ძლიერ სუსტს გავრცელებაშიო. მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უმთავრესად საჭიროა, რომ ხალხი გონებით ამაღლდეს, მეტი ცოდნა და განვითარება მოიკრიბოს, ამისთვის კი აუცილებელია საერთო სავალდებულო სწავლის შემოღება, სკოლების გამრავლება და ისეთ დაწესებულებათა დაარსება, რომელიც მუშას განავითარებს და ცოდნას შესძენსო. უამისოდ ვერაფითარი ცვლილება, საფაბრიკო კანონმდებლობაში შეტანილი, ვერ გამოიყვანს მუშას გაჭირვებულ მდგომარეობიდან, მის ქირას ვერ გაადიდებს, სახელმწიფოს ტეხნიკურ წინსვლას ვერ გამოიწვევს, მაშასადამე, ამ მხრით რუსის მუშასაც, მის დასავლეთ-ევროპიელ ამხანაგს, როგორც სწორს, გვერდით ვერ ამოუდგენს („რ. უ.“).

**ნორმალურ და პატოლოგიურ პსიხოლოგიის საზოგადოების** კრებაზე საინტერესო სჯა-ბაასი ყოფილა აღძრული 15 თებერვალს რუსეთის თანამედროვე ცხოვრების პირობებზე. ექიმ ნიკიტინს უთქვამს: ჩვენ აქ განყენებული მსჯელობა გვაქვს მეცნიერების თეორიულ საკითხებზე, ჩვენს გარშემო კი საზოგადოებრივმა მღელვარებამ არაჩვეულებრივი სახე მიიღო. ჩვენ თვალწინ გუშინ ჩვეულებრივად საქმეში გართული ხალხი და სხვადასხვა საზოგადოება დღეს ერთხმად გაიძახის:

„კვლავ ასე ცხოვრება შეუძლებელიაო“. დროა ყოველი შეგნებული წევრი რუსეთის საზოგადოებისა ნამდვილ მოქალაქედ გადიქცეს, დროა ერთის გრძნობით, ერთის მისწრაფებით გავიმსჭვალოთ და პირდაპირ შევხედოთ თვალებში საერთო საფრთხეს—თავშეუკავებელ თვითნებობას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ვჩაგრავს და გვავიწროებსო.

კრებამ ერთხმად მოითხოვა, ეხლავე გამოსთქვათ ჩვენი აზრი, ვის ვემხრობით, ძველ წესს, რომელმაც თავისუფლების ნასახიც არ შეგვარჩინა, დაახრჩო ჩვენში მისწრაფება სინათლისკენ, თუ იმ წესწყობილებას, რომელიც პიროვნებას არ სჩაგრავს, აზრს და სინდისს არ ავიწროებს? თანაუგრძნობთ თვითნებობას და ბორკილებს, თუ პიროვნების თავისუფლად განვითარებას ვთხოულობთ? ჩვენთვის რომელია უფრო ძვირფასი—ძალის, მუნდირის, ჩინებისა და ჯვრების ავტორიტეტი, თუ ჭეშმარიტი თავისუფლება და უბორკილოდ სიცოცხლეო? პრივატ-დოცენტ დობროტვორსკიმ სთქვა, რომ თანახმა ვარ, საწინააღმდეგოდ ხმა უნდა ამოვიღოთ, მაგრამ ეგ არა კმარა, უნდა მოქმედებაც დავიწყოთო. ხმის უმეტესობით კრებამ გადასწყვიტა შეჩერდეს საზოგადოების მოქმედება. ბოლოს კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა 9 იანვარს დახოცილ სტუდენტების ხსოვნას („ნოვოსტი“).

**გომელში დაწიოკებულ და დარბეულ ებრაელთა ჯგუფმა** თავისი თანაგრძნობა და წვლილი გამოუგზავნა ბაქოში აკლებულ სომხებს. («ნოვოსტი»).

**მოსკოვის რეალურ სასწავლებლის აღმზრდელთ და მასწავლებლებს** ქალაქის მოურავისთვის წერილი გაუგზავნიათ და სწერენ: ის აზრი, რომ შეიძლება, მოსკოვშიც კურსკის მსგავსად საზოგადოების ნაძირალთა ბრბომ გალახოს ჩვენი მოსწავლეახალგაზდობა,—თავზარსა გვცემს და ჰკუიდანაც გვშლის, ამიტომ გთხოვთ შეისმინოთ ჩვენი ვედრება და ჩვენი ბავშვები ამ განსაცდელს ააცდინოთო („რ. უ.“).

**მუშები ისევ გაიფიცნენ** 19 თებერვალს პეტერბურგის ზოგიერთ ქარხნებში. მეორე დღეს საერთო გაფიცვას ელოდნენ.

**დონის როსტოვიდან სწერენ გაზეთ „რუს“-ს**, რომ იქაც ელოდნენ ბაქოს ამბების გამეორებას. იქაური მთავრობა არაფერს ღონისძიებას არ იღებს საზოგადოების დასამშვიდებლად, გაზეთებს პირზე ლაგამი ადევთ და ვერაფერს სწერენ.

# ბიბლიოგრაფია

**ქართული სიტყვიერების ისტორია**

(უძველესი დროიდან მე-XVIII საუკუნემდე) **ალექსანდრე ხახანაშვილისა** გამოცემა წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა, № 65, ტფილისი გვ. 612 ფ. 1 მ. 25 კ.

ეს «ქართული სიტყვიერების ისტორია», რომელიც ავტორმა დაწერა წერა-კითხვის საზოგადოების მინდობილობით, პირველი ცდაა ჩვენს მწერლობაში, და უნდა აღვიაროთ, რომ, როგორც „პირველი ცდა“ ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ავტორს ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ჩვენი ხელნაწერების უმეტესი ნაწილი არ არის არც გამოცემული და არც შესწავლილი. ის იძულებული იყო საქმე ჰქონოდა გამოუკვლეველ ხელნაწერებთან. ჯერ მას უნდა განეხილა ეს მასალები და შეედგინა მათზე მეცნიერული აზრი და მერმე კი მისივე გამოკვლევა დაედვა სარჩულად ლიტერატურის ისტორიისათვის და მოეყვანა შესაფერ სისტემაში რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ართულებდა მის შრომას. ხელს უწყობდა მას ის გარემოება, რომ პატივცემული ავტორი დიდი ხანია იკვლევს ჩვენი ლიტერატურის ისტორიას და უკვე დაბეჭდა რუსულ ენაზე 3 ტომად „Очерки по исторіи грузинской словесности“, რომელიც შეეხება იმავე ხანას, რომელსაც იკვლევს ქართული წიგნიც. ამ ნაირად ქართული წიგნი ჩვენთვის „პირველი ცდაა“, მაგრამ თვით ავტორისთვის ეს მეორეა, და ამიტომ ამ მეორე ცდას ბევრი უპირატესობაც აქვს პირველთან.

რუსულ წიგნებში მოთავსებულია ბევრი დაუმუშავებელი მასალა. ეგერ-აგერ ამ წიგნებს ქრისტომატიის ხასიათიც აქვს. ზოგი დასკვნაც ვერ იყო იქ საბოლოოდ გამოთქმული, რადგანაც იმ ხანებში არ იყო ამისთვის საკმაო საბუთები, ხელნაწერების თარგმანებიც ზოგ ადგილს ვერ შეეფერებოდა ორიგინალის სიცხოველეს და სხ. ქართულ წიგნში კი ყველაფერი ეს თავიდან აცილებულია. ის წარმოადგენს დამთავრებულს მეცნიერულ გამოკვლევას, და ამასთან იმდენად მნიშვნელოვან გამოკვლევას, რომ უფრო თვალსაჩინო წიგნი ჩვენის ისტორიიდან ჩვენს ენაზე დიდი ხანია არც კი გამოსულა.

პირველად ავტორი იკვლევს სახალხო სიტყვიერებას სახალხო ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს, აპოკრიფებს, ლეგენდებს და სხ. და შემდეგ კი წერითი სიტყვიერებას ანბანის შემოღებიდან დ პირველ ქართულ ნაწერებიდან მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის ნაწერებამდე. ქართული ანბანი, სასულიერო მწერლობა, ჩვენი ძველი მწერლობის ოქროს ხანა, მეთვრამეტე საუკუნის მწერლები, ბეჭდვის დასაწყისი და სხ. დიდის ერუდიციით და საგნის შესაფერად გამორკვევით აქვს აღწერილი.

ვისაც კი ცოტა მაინც აინტერესებს ქართული ლიტერატურა, ის გამოუთქმელის ხალისით წაიკითხავს ამ გამოკვლევას და მადლობას უძღვნის, როგორც ავტორს, ისე წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელმაც ეს წიგნი დაბეჭდვინა და გამოსცა.

სასურველია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაც მალე გამოიცეს, რაც ჩვენს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ენა.

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

23 თებერვალი.

**ვლადივოსტოკი**, 23 თებ. მთავარსარდლის ბრძანებით, ვლადივოსტოკის კომენდანტს უნდა დაემორჩილოს ყველა ციხეში მყოფი და შემდეგ მოსული სახმელეთო ჯარი დ მეზღვაურთა ძალა. ყველა ფრის ფასმა აიწია. ამის გამო კომენდანტმა ერთი კვირის ვადა მისცა, რომ მოილაპარაკონ და ფასები დააწესონ, რეპრესიების ასაცილებლად. ქალაქში სიწყნარეა. ჩვეულებრივი ცხოვრებაა.

**ტოკიო**, 23 თებ. ოფიციალურად, იაპონელებმა დღეს მაძიატუნი დაიჭირეს. ბოლოს დროს ცნობები მოდის, იაპონელები წინ მიდიან მწყობრად. 21 თებერვალს იაპონელებმა აიღეს ნინშიხატუ და შემდეგ ხაჯენი. 22 თებერვალს რუსებმა იერიში მიიტანეს ერთ მაღლობზე ტანძიატუნის ჩრდილოეთად და რკინის გზის აღმოსავლეთად, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. იაპონელებმა დაიჭირეს ხანჩენპუს აღმოსავლეთის ნაწილი. იტყობინებიან, რუსები იუხუანტუნის ახლო გროვდებიან, მუკდენიდან ექვსის მილის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთად.

**ტოკიო.** ოფიციალურად. რუსებმა უკან დაწევა დაიწყეს 23 თებერვალს დილით. იაპონელები გაფთრებულად მისდევენ.

**ვლადივოსტოკი.** ციხეში ბძანება გაიცა, რომლითაც ვლადივოსტოკიდან საქარხნო და შენობის მასალისა, სანოვაგის, მანუფაქტურისა და სააფთიაქო საქონლის, ცხენებისა და საკვების გატანა აკრძალულია.

**ტოკიო**, 23 თებ. რუსები თავს იყრიან მუკდენთან ჰფიქრობენ, თუ რომ მოულოდნელი რამ არ მოხდა, ისინი უზიანოდ თავს ველარ გაახწევენ ჩრდილოთისკენო. იაპონელების მარცხენა ფრთე წინ მიდის მაღლობებით მუკდენის დასავლეთად, ხუთის მილის მანძილზე. იაპონელები რკინის გზასაც აწვებიან. დღეს იაპონელების მარჯვენა ფრთამ რუსების მარცხენა ფრთა დაამარცხა და უკან მისდევს ჩრდილოეთისკენ. იაპონიაში გადაწყვეტილ შედეგს მოელიან.

**სინმინტინი.** იაპონელები დამკვიდრდნენ სინმინტინში. სატელეგრაფო სადგურზე ცენზურა დააწესეს კერძო დეპეშებისა, თუმცა ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ.—ხუნხუზებმა შეიპყრეს ორი რუსი, ჩინელად ჩაცმული, და საშინელ ტანჯვის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ამ ავაზაკებს იაპონელების დროშები აქვთ. რავდენიმე ასი ხუნხუზი ქალაქში დაჯირითობს.

**ტოკიო.** იიამამ ბრძანება რომ გასცა, რუსებს საერთოდ უნდა დაუედევნოთო, აუკრძალა იაპონიის ჯარს მუკდენში მრავლად დაბანაკება, რომ მანჯურიის დინასტიის განსასვენებელი დაცულ იქმნას და ხალხს არა ევნოს-რა.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა, 23 თებ. თარიღით: 1, ხუნხეს მარჯვენა მხარეს, რომელიც ჩვენ გვეჭირა, შევნიშნეთ, რომ მტერი მუკდენზე მიდის ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაც. ჩვენის ლაშქრების ცენტრი და მარცხენა ფრთე უბრძოლად უკუმოდიან გამაგრებულ პოზიციებისკენ, ხუნხეს მარცხენა ნაპირს. 2) დღეს მტერმა იერიში მოიტანა ჩრდილო ფრონტზე და ჩვენი პატარა რაზმი უკან დასწია სოფელ პადიაზიდან; ამ დროს მოკლულ იქმნა მამაცი პოლკოვნიკი ზაპოლსკი. შემდეგ მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა ჩვენს ჩრდილო პოზიციებზე მუკდენთან, მაგრამ უკუქცეულ იქმნა დიდის ზიანით. დასავლეთ ფრონტზეც მტერი იერიშით მოდიოდა ჩვენს პოზიციებზე სოფელ ნიუსინცუნთან, მაგრამ მოვიგერეთ, შემდეგ ჩვენი ჯარიც იერიშით მიეგება და მრავალი დაატყვევა. სხვა პოზიციებზე ჩვენმა ლაშქრებმა დღე უბრძოლოდ გაატარეს.

დეპეშა გენერალ-ლეიტენანტ სახაროვისა, 24 თებერვალს: ჩრდილო ფრონტზე ღამე მტერმა რამდენიმე ცხარე იერიში მოიტანა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. სხვა პოზიციებზე ღამემ მშვიდობიანად გაიარა.

**ტოკიო**, 23 თებ. (რეიტერი). ოფიციალურად იწერებიან, იაპონელებმა ჯერ პიშიიტაუ დაიჭირეს, შემდეგ ხაიენი. ტიტსა და მანძიუტანთან ცვლილება არა მომხდარა. შახეს მხარეს, რკინის გზის აღმოსავლეთად, დილის 3 საათზე 22 თებერვალს რუსებმა იერიში მიიტანეს ერთ მაღლობზე ტუნძიატუნის ჩრდილოეთად, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ და 30 მოკლული დასტოვეს. 22 თებერვალს ღამე რუსების არტილერია ყუმბარებს ესროდა იაპონელების პოზიციებს ტაშანისა და ანპუშანის მხარეს. რუსების რაზმი, რომელმაც დილის 4 საათ. 30 წუთს იერიში მოიტანა, უკუიქცა. რკინის გზის დასავლეთად ღამის 2 საათზე 22 თებერვალს იაპონელებმა ხანშინპუ დაიჭირეს. რუსები ამაოდ-ღა ცდილობდნენ მის დაბრუნებას. ხუნხეს მარჯვენა ნაპირს რუსები ჯარს იანსიტუნისკენა სწევენ მისაშველებლად, მუკდენიდან 7 მილის მანძილზე. სოფელ ლიხუანპუს ორი მესამედი, მუკდენის დასავლეთად 8 მილის მანძილზე, იაპონელებმა დაიჭირეს, რუსების იერიში მოიგერეს.

**გენერალ კუროკის ლაშქარი**, 22 თებ. (რეიტერი). მეათე დღეა, ბრძოლა არ შეწყვეტილა. საერთოდ იაპონელები იმარჯვებენ. რუსების მარცხენა ფრთეზე, მოსალოდნელია, ბრძოლა დაიჭირეს პოზიციები ორის მილის სიშორეზე მუკდენიდან და მედგრად ისვრიან ყუმბარებს. რუსები მტკიცედ ეწინააღმდეგებიან და ხშირად იერიშითაც მიდიან. მოგერების საქმე რუსებს ისე აქვთ დაყენებული. როგორც ახალი ტეხნიკა მოითხოვს. მთელ ფრონტსა და ვაიტოშანის აღმოსავლეთად გუშინ და გუშინწინ ხელისხელ იბრძოდნენ. რუსების ბატარეები იაპონელების ტრანშეებს ყუმბარებს ესვრიან. ორივე მხარე ხშირად ხმარობს ხელის ყუმბარებს. დღეს დროებით სიწყნარეა. მრავალი ეტლები უკან მიდიან და საკაცეებით დაჭრილები მიჰყავთ. ეს ამტკიცებს, რომ რუსების დანაკარგი დიდი უნდა იყოს.

**ტოკიო**, 23 თებ. (რეიტერი). ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ რუსებმა დილით უკან დახევა დაიწყეს შახედან.

**მუკდენი**, 23 თებ. დილის 10 ს. განუწყვეტელი სროლის გრიალი მოისმის ჩრდილო დასავლეთიდან. მუკდენის კედლები ზანზარებს. ბრძოლა საიმპერატორო აკლდამებთანაა. გაზაფხულის თბილი ამინდია.

**პეტერბურგი**, 23 თებ. დიდი ჰერცოგი გესენისა მეუღლით ცარსკოე სელოს მოვიდა.

**ვარშავა.** ვარშავის კოსტელებში წაიკითხეს არხიეპისკოპოსის პოპელის მოწოდება, გაფიცვას მოსპეთ რადგან ეგ ავის კაცების ჩაგონებით არის გამოწვეული და საქმეს მიჰყავით ხელიო.

„ვარშავის დნ.“-ის სიტყვით, 21 თებერვალს საღამოს პოლიციის დარაჯს ვიღაც ბოროტ-განმძრახველმა რევოლვერი ესროლა და გაიქცა.

**ბაქო**, 23 თებ. ქალაქში სიწყნარეა. თუ კვლად ეს იქნება, 1 მარტს სამხედრო დებულება გაუქმდება.

**პარიჟი**, 23 თებ. მთლად ჩვენმა ესკადრამ მადაგასკარი მიატოვა და ჯიბუთს წავიდა. ლონდონის შემდეგ თავადი ფერდინანდი სხვა სტატსტო ქალაქებსაც ესტუმრება. მისი მოგზაურობა მაკედონის საქმეებით არის გამოწვეული.

**მინსკი**, 23 თებ. საბჭოს წარედგინა ხმოსან იანჩევსკის პროექტი საგანგებო კრებების მოწვევის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ხალხის წარმომადგენლებმა, რომ აღიძრას შუამდგომლობა, თანხმად 18 თებერვლის უმაღლესის ბრძანებისა.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობას იმედი აქვს ორი სატრანსპორტო გემით გაგზავნოს ჯარი იემენს, სადაც სანის მეციხოვნეებს, 7000 კაცს, გარშემორტყმია 16,000 აჯანყებული არაბი. სხვა ჯარებიც, როგორც ეტყობა, მომწყვდეულნი და მოჭრილნი არიან ზღვისაგან. ჯარის მომეტებული ნაწილი სირიის არაბთაგანია და თავისიანებს არ ებრძვის. ამაშფოთებელი მდგომარეობაა.

**ლონდონი.** ამბობენ, ინგლისისას სამხედრო უწყებას ხარჯი 7—8 მილიონ გირვანქით შეუმცირებიათ.

**სტამბოლი.** ჰილმი-ფაშის მოხსენებით, 8,000 აჯანყებული ბულგარელი 2 მარტს შეჭრას აპირობს მაკედონიაში. პორტა უარყოფს ხმებს, ვითომც ინგლისის ელჩს ახალი პროექტი წარედგინოს მაკედონიის რეფორმების შესახებ.

**კოვნა.** მთავარმართებელმა გამოსცა დებულება, სამრეწველოებსა და სახელოსნოებში 10 დღის მუშაობა უნდა იყოსო, ყველგან თვალსაჩინო ადგილს გაკრული უნდა იყოს, ცნობები, როდის იწყება და თავდება სამუშაო დღე და რა დროს ისვენებენ მომუშავენი, სამრეწველოები და სახელოსნოები მოვალენი არიან მოსამსახურეთა სიები იქონიონ. ამ დადგენილების დამრღვევი დაჯარიმებულ იქმნება 500 მანათამდე ან დაპატიმრებულ სამს თვემდე.

**ბერლინი**, რეიხსტაგში შეტანილ იქმნება პროექტი ახალშენთა განსაკუთრებულ სამინისტროს დაფუძნების შესახებ. აქამდის ახალშენთა გამგეობა მინდობილი ჰქონდა გარეშე საქმეთა სამინისტროს. იმპერატორი ვილჰელმი სამოგზაუროდ წავა 10 მარტს კუქსგავენიდან ხმელთა შუა ზღვით.

**ბერლინი.** გერერების რაზმები აფრიკის სამხრეთ-დასავლეთად აღარა სჩანან. რკინის გზის გამგეობამ ბერლინში გამოაცხადა რომ სოსნოვიცსა და სხვა სადგურებზე საზღვართან დიდძალი საქონელი მოგროვდა და ამის გამო აღარ მივიღებთ საქონელს გასაგზავნადო.

**ვენა.** იუწყებიან გერმანიის იმპერატორი ხმელთაშუა ზღვაზე ავსტრიის მემკვიდრე პრინცს ფრანც-ფერდინანდს ინახულებსო.

**პეტერბურგი**, 23 თებერვალს. შუა დღის ორ საათ-ნახევარზე გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში ხელი მოაწერეს რუსეთისა და ბულგარიის ახალს სავაჭრო ხელშეკრულებას რუსეთის მხრივ რწმუნებულებმა გარეშე საქმეთა მინისტრმა სტატს-სეკრეტარმა გრაფმა ლამზდორფმა და სტატს-სეკრეტარმა ვიტტემ, ხოლო ბულგარიის მხრივ სამთავრო დიპლომატიურმა აგენტმა პეტერბურგში მინისტრმა სტოიჩევმა და სოფიის უნივერსიტეტის პროფესორმა ბოჩევმა.

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტრომ მიაქცია ყურადღება ნოქართა გასაჭირს მდგომარეობას, რომელნიც სავაჭროებში მსახურობენ, დღეში 14 საათზე მეტს მუშაობენ და კვირა-უქმე დღეებშიაც კი დასვენებაც არ იციან. სამინისტრომ საჭიროდ დაინახა უპირველესად სამუშაო დრო შეამოკლოს და კანონ-პროექტი შეამუშავა რომლითაც განზრახულია: 1) სულ უმცირესი რიცხვი დასასვენებელ საათებისა საღამოდან მოკიდებული დილამდე, სადილის დროს კვირაობით და თორმეტ-სადღესასწაულო დღეს, როდესაც ნება მიეცემა მცირე ხნის ვაჭრობისა მხოლოდ სანოვაგის სავაჭროებში, 2) სხვადა სხვა საქონელთა სავაჭროების პატრონთ დაევალოს ყოველ სამუშაო დღეში სამის საათით განთავისუფლონ ხოლმე მოზარდნი, რომელნიც 15 წელს არ სცილდებიან, რომ სკოლებში იარონ, 3) რა დროს უნდა გაიღოს და დაიკეტოს სავაჭროები ანუ სასადილოდ რამდენ ხანს უნდა შესვენება,—ამის გადაწყვეტა მიენდოს ქალაქებისა და ერობათა სამმართველოებს და, სადაც ერობა არ არსებობს—გუბერნიის სამმართველოს ვაჭართა წარმომადგენლებთან შეთანხმებით, 4) დადგენილ წესდების დარღვევისათვის. ეს პროექტი განხილულ იქმნება სხვადა სხვა უწყებათა წარმომადგენლების, კრებაზე, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ბირჟის კომიტეტებისა და ნოქრების საზოგადოებათა წარმომადგენლებიც ფინანსთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 22 თებერვალი 1905 წ.**

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 94,25 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | 46,07½ |
| პარიჟისაზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,90 |
| ბერლინისაზე " | 46,30 |
| პარიზისაზე " | 37,63 |
| ბირჟის დისკონტი | 5¼—6¾% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 89⅞ |
| 4%-ანი სახ. სესხი 1092 წ. | — |
| 4½% შინაგანი სესხ. 1903 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ. | 86⅛ |
| 5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ. | 394 " |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 325 " |
| 5% გირ.-მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ. | 271 " |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ. | — " |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ. | — |
| 5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა | — |
| 4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა | — |
| 6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 226 |

# სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი:**

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
   " " საღამ. 5—7 "
   კვირა-უქმე—დილით 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113. ღია არის დილით 10—2 საათ.
   " " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
   " " საღამ. 5—8 "

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟეს ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქ 1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.

2) [illegible]